

გაზეთი ზეგნივს, „ზეგნივს“ ერთი

ვერსია



60 თეთრი

№112 (1138) 6 - 8 ნოემბერი, 2015 წელი

ორშაბათი

ორშაბათი

პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ ლიზვის ელჩთან



გიედრიუს პუოჯუნასი:
„საქართველოს საგარეო კურსი ჩვენში ეჭვებს არ აჩენს“

ვანო ჩხარტიშვილს მოსამართლე გიორგი სულაკაძესთან გარიგებაში აღნაგულებენ



ადვოკატი სოსო გარათაშვილი მთავარ პროკურატურასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სარჩელს დღეს შეიტანს



„საპრეზუმოს ფუნქცია გადასასვლია!“

დავით ბურაბიშვიდი მერიამში არსებულ პრობლემებზე საუბრობს და რესპუბლიკური ფრაქციის ინიციატივას გვიმხედს

სანაგველქცეული მიწისქვეშა გადასასვლელები თბილისის ცენტრში



როდის მიხედვს ხელისუფლება ბანათაშვილის ხიდთან და კოსტავას ქუჩაზე არსებულ გადასასვლელებს

თიბისი ბანკი
TBC BANK

სტუდენტური კონკურსის — „მისია 2015“-ის პარტნიორია

ქართველების ქურდობის მეთოდები ავროპაში

პასტიმარის დღიური

შს მინისტრი იბალიის ელჩსა და პოლიციის აბაზას შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი იტალიის ელჩს საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლის და პოლიციის ატამე ლორენცო ლებინის შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივები, საქართველოსა და იტალიას შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობა და სამომავლო გეგმები განიხილეს. გიორგი მღებრიშვილი სტუმრებს სამინისტროში განხორციელებულ რეფორმებზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ესაუბრა.

მხარეებმა ასევე განიხილეს სამართალდაცვით სფეროში, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოდანაშაულისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ორი ქვეყნის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა.

„ვერსიანუსი“



ვანო თავისუფალი დემოკრატების რაიონული ორგანიზაცია აღარ არსებობს

ვანო თავისუფალი დემოკრატების რაიონული ორგანიზაცია აღარ არსებობს. პარტია ყველა წევრმა დატოვა. ამის შესახებ განცხადება, ქუთაისში „ქართული ოცნების“ ოფისში, ვანის საკრებულოს „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა, რომან თვალაბიშვილმა გააკეთა.

თვალაბიშვილის განმარტებით, ისინი ემიჯნებიან „თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკურ გზას, რომელიც ნაციონალურ მოძრაობასთან იკვეთება.

მისივე განცხადებით, საკრებულოს წევრები, რომლებიც „თავისუფალი დემოკრატებს“ წარმოადგენდნენ, ჯერჯერობით დამოუკიდებელ დეპუტატებად რჩებიან.

აზერბაიჯანის ნავთობკომპანია „სოკარი“ რუსულ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებას ანარმობს



როგორც ცნობილი გახდა, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია რუსულ კომპანიასთან ყიდვა-გაყიდვის შეთანხმების ხელმოწერაზე მოლაპარაკებას ანარმობს. კომპანიაში აცხადებენ, რომ დღეისთვის არ არის საუბარი, რომ აზერბაიჯანმა რუსულ გაზზე უარი თქვას.

„თუ რუსული მხარის წინადადებები აზერბაიჯანულ მხარეს არ დააკმაყოფილებს, შეთანხმებას ხელს არ მოვანერო. აზერბაიჯანს აქვს გაზი, მაგრამ ჩვენ დავგვირდებამატი მთელი მოცულობები. ეს თანამშრომლობა დამოკიდებული იქნება სავარაუდო ფასებზე, რას შემოგვთავაზებს რუსული მხარე“, — აცხადებენ „სოკარში“.

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის პრეზიდენტი ენვი



საქართველოს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ესტუმრა. აზერბაიჯანის დელეგაციას აეროპორტში საქართველოს ვიცე-პრემიერი კახა კალაძე და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრები დახვდნენ.

ილჰამ ალიევი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დალუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანის პრეზიდენტი ქართველ კოლეგას, გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს შეხვდა. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში იყო დაგეგმილი მარნეულში სტუმრობაც, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს.

ასევე დაგეგმილი იყო ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების დეკლარაციის ხელმოწერა პოლიტიკის, უსაფრთხოების, სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანზიტო, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში. ილჰამ ალიევი საქართველოში ოფიციალურ ვიზიტს 6 ნოემბერს დაასრულებს. ილჰამ ალიევის სტუმრობის შესახებ ბაქოში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის 10 ოქტომბრის სამუშაო ვიზიტისას გახდა ცნობილი.

„პია“

შს-მ ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით ხუთი პირი დააკავა

შს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყაჩაღობის ბრალდებით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1992 წელს დაბადებული, ნარსულში ნასამართლევნი რევაზ ჩ, 1987 წელს დაბადებული, ნარსულში ნასამართლევნი გიორგი ჩ, 1991 წელს დაბადებული ლევან ჯ, 1989 წელს დაბადებული ლაშა ჯ. და 1968 წელს დაბადებული, ნარსულში ნასამართლევნი იმედა ტ. სენაკის რაიონის სოფელ ლეძაძამეში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები მიმდინარე წლის 20 სექტემბერს სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში ყაჩაღურად თავს დაესხნენ გურამ შ-ს ოჯახს, საიდანაც 200 კგ თხილი, სხვადასხვა საოჯახო და პირადი ნივთები გაიტაცეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი ჩხრეკისას, 2 ერთლულიანი გადაჭრილი თოფი ე.წ. აბრეზი 10 საბრძოლო ვაზნით, რევოლვერი 5 საბრძოლო ვაზნით, „გოლდ სტარ 2002“-ის მოდელის პისტოლეტი 1 საბრძოლო ვაზნით და 4 ნიღაბი ამოიღეს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით).

„ვერსიანუსი“



აშშ მიესალმება თავშეაპყვებულ რაქსიას, რას „რუსთავი 2“-ის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანას მოჰყვება



ამერიკის შეერთებული შტატები „რუსთავი 2“-ის საქმის მიმდინარეობას სააპელაციო სასამართლოშიც ყურადღებით დააკვირდება. ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ჯონ კირბიმ 4 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. კითხვაზე, განიხილეს თუ არა მხარეებმა საქართველოში მედიის თავისუფლების და განსაკუთრებულ „რუსთავი 2“-ის საკითხი აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის სხდომაზე, პრეს-მდივანმა დაადასტურა, რომ ეს საკითხი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, ტონი ბლინკენმა წამოჭრა.

„სახელმწიფო მდივნის მოადგილემ სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის პლენარულ სესიაზე პრესის თავისუფლების საკითხი წამოჭრა. ყურადღებით ვაკვირდებით განხილვებს ამ კონკრეტულ საქმესთან, „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით. მომავალშიც განვაგრძობთ დაკვირვებას სააპელაციო სასამართლოში პროცესებზე, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ თავდაპირველ გადაწყვეტილებას მოჰყვება. მხედველობაში ვიღებთ ამ საქმესთან მიმართებაში მაღალ საჯარო ინტერესს, აშშ მიესალმება იმ მშვიდ და თავშეკავებულ რეაქციას, რაც ყველა მხარემ გამოიჩინა ამ თავდაპირველი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას. მედიის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობა არის ნებისმიერი დემოკრატიის საფუძველი და განსაკუთრებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს წარმატებული ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის“, — განაცხადა კირბიმ.

„პია“

საქართველოში ამერიკის სავაჭრო წარმომადგენლის სახელმწიფო მისია ჩამოვა

სავაჭრო საქმეთა მინისტრ გიორგი კვიციანიშვილის ინფორმაციით, საქართველოში ამერიკის სავაჭრო წარმომადგენლის სახელმწიფო მისია, ქვეყანაში გატარებული რეფორმების შეფასების მიზნით ჩამოვა.

საქართველოს სავაჭრო საქმეთა მინისტრი გიორგი კვიციანიშვილი ვაშინგტონში ვიზიტს წარმატებულს უწოდებს. მისი განცხადებით, ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის პლენარული სესიის პარალელურად, პირველად გაიმართა სავაჭრო და ინვესტიციების სფეროში მაღალი დონის დიალოგი, რომლის აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენელმა მაიკლ ფრომანმა, საქართველოს მხრიდან კი ვიცე-პრემიერმა გახსნა. გიორგი კვიციანიშვილის განცხადებით: „სხდომაზე განიხილა საქართველოში განხორციელებული რეფორმები და შევთანხმდით, რომ ამერიკის სავაჭრო წარმომადგენლის სახელმწიფო მისია ჩამოვა საქართველოში და შეაფასებს ჩვენს ქვეყანაში გატარებულ რეფორმებს. საქართველო-ამერიკის სავაჭრო ურთიერთობების საბოლოო მიზანი არის თავისუფალი ვაჭრობა და მნიშვნელოვანია, რომ ეს კიდევ ერთხელ დაფიქსირდა სავაჭრო დიალოგის ოქმში. ასევე, მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის პლენარული სხდომა, რომელმაც მოიცვა თანამშრომლობის ოთხივე მიმართულება. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთობლივ განაცხადში კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ითქვა, რომ ამერიკა დადებითად აფასებს საქართველოს მიერ გატარებულ რეფორმებს და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი მზად არის, კვლავაც დაეხმაროს საქართველოს შემდგომი რეფორმების განხორციელებაში. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი მთავარი მიზანია, საქართველო გარდაეკმნათ რეალურად დემოკრატიულ და ევროპულ სახელმწიფოდ. ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების მიზანია საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნება და მისი სრულყოფილი ინტეგრაცია. თუმცა ეს რეფორმები უპირველეს ყოვლისა გეგმილი იმისთვის, რომ ჩვენს თანამოქალაქეებს გავუუმჯობესოთ ცხოვრება, ავამაღლოთ ეკონომიკური დონე, მოვიზიდოთ მეტი ინვესტიცია და საქართველოში დაცული იყოს დემოკრატიული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი საბაზისო უფლებები“.



„პია“

„საკრებულოს ფუნქსია გაღასახელია!“

დავით ბურაბიშვიდი მერიაში არსებულ პრობლემებზე საუბრობს და რესპუბლიკური ფრაქციის ინიციატივას გვიმხედს



ენიო კომანხიძე
599-95-33-16

მერიაში ისევ საკადრო ცვლილებებია — ამჯერად, პოსტები არეშიძე-გიორგობიანი დატოვეს. მერიის სამსახურებში სამ ვაკანტურ ადგილზე კი ახალი ხელმძღვანელები დაინიშნენ. ცვლილებათა ეს ტალღა თბილისის თვითმმართველ ორგანოში არც პირველია და ალბათ, არც ბოლო, შეფასება კი მოკლე და ნათელი — მერია ვერ მუშაობს. შეცვლის თუ არა დედაქალაქში არსებულ მძიმე ვითარებას გვარების ცვლა მერიაში, განირავს თუ არა ნარმანიას საკუთარი გუნდი იმპიჩმენტისთვის, რა როლი აქვს ამ პროცესებში საკრებულოს და რა არის პრობლემათა უმეტესობის სათავე, რის გამოც, მერიის ბოდიშებს იხდის — ამ და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე საკრებულოს რესპუბლიკელი დეპუტატი, საბურთალოს მაჟორიტარი **დავით ბურაბიშვიდი** გვსაუბრება და როგორც ყოველთვის, გულახდილ შეფასებებს გვთავაზობს.

— მერის მუშაობით საზოგადოება კმაყოფილი რომ არაა, ამას ყველა ვხედავთ. თვალს ვერ დავიბრუნებთ და ვიტყვი, ყველაფერი იდეალურადაა. ამას კი ობიექტური მიზეზებიც აქვს და სუბიექტურიც. ეს ცვლილებები სწორედ სუბიექტური შეცდომების გამოსწორების მცდელობა მგონია. თუმცა ამ ორი ადამიანის წასვლამდეც უამრავი ვინმე შეიცვალა მერიაში, მაგრამ ამით ვითარება არ გამოსწორებულა. ვფიქრობ, მერიის მიმართ არსებულ პრეტენზიებს მარტო კადრების ცვლა ვერ უშველის. ობიექტური რეალობა ასეთია: არსებობს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და ვთქვათ, ასფალტია სადმე დასაგები. ამისთვის უნდა გამოცხადდეს ტენდერი და მერე, ეს პროცესი დროში იწელება. დავუშვათ, არ შემოდის საჭირო რაოდენობის განაცხადი, მერე ხელახალი ტენდერი 1 თვის თავზე ინიშნება. ვირჩევთ ვილაცას და ის ვერ ასრულებს კონტრაქტით დაკისრებულ ვალდებულებას და ა.შ. ამ პროცედურების გამო რამდენიმე ტენდერი ჩაიშალა და საქმე ვერ გაკეთდა. გეტყვი, კონკრეტულად გიორგი არეშიძის მაგალითზეც: მას მერიაში სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება ებარა და ისეთ საქმეში, სადაც პირიქით, ფულის დამატება უნდა მოეთხოვა, ნული ლარი აქვს ათვისებულად. არადა, საუბარია საბავშვო მოედნებისა და სტადიონების შეკეთებაზე. ეს ყველაფერი სწორედ ამ პროცედურების გამო ხდება.

— **კი მაგრამ, სამი წელი გქონდათ ამ ბიუროკრატიის გასამარტივებლად და ამ ხნის განმავლობაში, კანონმდებლობა რატომ არ შეიცვალა?**

— მერე, ამას მიხვედრა ხომ უნდა? თუმცა ეს მარტო მერიის პრობლემა არ არის. ზოგადად, ხელისუფლების ბრალია, ამ პრობლემებს დროულად რომ არ მიხედეს. წინა ხელისუფლების დროს კი ეს პრობლემასაც არ წარმოადგენდა, რადგან რეალურად, არანაირი ტენდერები არ ტარდებოდა და წინასწარ იყო განსაზღვრული, ვინ რას მოიგებდა. მერე, კონტრაქტორი დედამისის შვილი იყო და პირობებს არ შეასრულებდა, თუ არადა, ციხეში წავიდოდა! ასეთი რეჟიმი თუ გაქვს, რა თქმა უნდა, ეფექტურად მოქმედებ და ყველაფერი სწრაფად კეთდება, მოსახლეობას კი შენი ბიუროკრატია სულ არ აინტერესებს. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა, ეს ყველაფერი გამარტივდეს.

— **მერე, რა კეთდება ამისთვის?**

— რესპუბლიკელების ფრაქციას საკრებულოში რალაც წინადადებები დაყენება გვინდა, ამ ბარიერების მოსახსნელად. ერთ-ერთ გამოსავლად ის მიმაჩნია, კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოების დიდი ნაწილი გამგეობებზე გადავიდეს და უშუალოდ მერიას არ ებარებოდეს. გამგეობებმა ადგილებზე უკეთ იცინა საჭიროებები და თანხების 90%-ზე ნაკლები ათვისება არც ერთ მათგანს არ აქვს. გვინდა, ეს იდეა მალე უმრავლესობაშიც გადავიტაროთ და მომავალი წლიდან რალაცები შეიცვალოს. იგივე ხდება ტენდერების საკითხზე. ამასწინ, კური-ოზი პირადად მე შემემთხვა: ზაფხულში მაჟორიტარის ბიუროს ოფისში კონდიციონერის დაყენება მინდოდა. თურმე, ამისთვის საკრებულომ ტენდერი უნდა გამოაცხადოს. მოკლედ, პროცესი დროში გაიწვია და ვითხოვე, რამე ძველი მაინც მომეცით—მეთქი, რადგან ამის უფლება აქვთ. მომცეს და აღმოჩნდა, რომ მერე მის დაყენებაზეც ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო. რა თქმა უნდა, კანონმდებლობა რომ არ შეიცვალა, ეს ჩვენი მინუსია. თუმცა ვილაცებს ხელისუფლების შიგნითაც მიაჩნიათ, რომ ბევრი რამ

შესაცვლილი არაა და კორუფცია არ ხდება. არადა, ეს ბიუროკრატია კორუფციისგან დამცავი მექანიზმი ნამდვილად არ არის.

— **თქვენს მაჟორიტარულ რაიონში, ბოლო დროს, სულ ერთი კორუფციული სქემა იკვეთება — რეკრეაციული ზონებისთვის სტატუსის შეცვლა, მერე მისი გაყიდვა და იქ კორპუსების ჩადგმა. ასეთ დროს, მერიის საკონტროლებლად საკრებულოს რაიმე მექანიზმი აქვს?**

— ზონის ცვლილებაზე განაცხადი საკრებულოში აუცილებლად შემოდის და მას დასაბუთებაც უნდა ახლდეს, ამა თუ იმ ადგილას ხის ყოფნას კორპუსის აშენება რატომ ჯობია. თუმცა ყველა ხის მოჭრისას ხელალებით ვერ ვიტყვი, ეს არ უნდა ექნათ. ამის მაგალითსაც მოგიყვანთ: ხილიანიდან ვაკე-საბურთალოს შემადგენელ გზაზე რომ გადახვიდეთ, ძალიან ვინრო ქუჩა უნდა გაიაროთ, სადაც სკოლაცაა და მუდმივად საცობია. ამ საქმეში გამგეობაც ჩაერთო, მერეც, უამრავი განაცხადიც მივიღეთ და გზის გაფართოება გადაწყდა, რისთვისაც ერთი-ორი ხეა მოსაჭრელი. ამიტომ, ხანდახან, ისეთი ვითარებაა, როცა ეს საჭიროა.

— **ჰოდა, ვილაცამ განაცხადი რომ შემოიტანოს, მინდა მოვჭრა ხე და ჩავდგა კორპუსი, ამ შემთხვევაში რას აკეთებს საკრებულო?**

— შეგიძლიათ კენჭისყრის შედეგები შეამოწმოთ — თითქმის არასდროს მიმიცია ხმა ასეთი გადაწყვეტილებისთვის, რადგან ვფიქრობ, რეკრეაციული ზონები უნდა დარჩეს. თუმცა იქ მარტო რესპუბლიკელები ხომ არ ვართ. ხანდახან, სხვა გადაწყვეტილებებიც მიიღება ხოლმე.

— **მაინტერესებს, საკრებულოს რა როლი აქვს, როცა ქალაქში რალაც იჩნება, შენდება და ინგრევა?**

— საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება შეუძლია, ასევე, მერიაზე ზენოლა. დანარჩენი, უშუალოდ მერიის გასაკეთებელია. საკრებულოს ეხება რეკრეაციული, ზონის ცვლილებები, ასევე, განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანაზე თანხმობის მიცემა. თუმცა, ნაციონალების დროს იმდენი რალაცაა მიღებული, მერიისთვის მუშაობა მაქსიმალურად რომ გაეიოტინათ, რომ ათიდან ცხრა შემთხვევაში, მერია საკრებულოს გვერდისაგლით მუშაობს. თუმცა რალაცებში გვერდს ბოლომდე ვერ გვივლიან, სამაგიეროდ, ისეთი დეტალები გვხვება, რაც აბსოლუტურად არაფერში გვჭირდება. ფაქტია, რალაც საკითხებში, საკრებულოს უფლებამოსილება მეტი უნდა იყოს, რალაცაში — ნაკლები. მარტოვად რომ ვითხოვთ, მშენებლობის ნებართვას ჩვენ საერთოდ არ გვაცემთ, თუ პროექტი განაშენიანების რეგულირების გეგმაში არ შედის. თუ შედის, აზრს მხოლოდ მაშინ გვუკითხებინან.

— **არ შეიყვანენ ამ გეგმაში, რომ არ გკითხონ და ეგ იქნება!**

— მერე, არც შეჰყავთ და მაგაშია საქმე. ამ „პანორამა თბილისზეც“ ერთი ამბავი იმიტომ ატყდა, რომ პროექტი განაშენიანების გეგმაში არ შეიტანეს და ცალკე იყო. რა მიხვედრა უნდა, რომ იოლ გზას ირჩევენ და არ უნდათ, საკრებულოს რამე ჰკითხონ. ჩემი გადასანყვეტი რომ იყოს, ადგილობრივ მმართველობებს გაცილებით გავაძლიერებდი — რაც მეტი უფლებები ექნებათ ქვედა დონეზე, გაცილებით ეფექტურად იმუშავენდა მერია.

— **სწორედ ეს არ უნდა ყოფილიყო ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმის შედეგი?**

— რა თქმა უნდა, თუმცა სამწუხაროდ, სრულად ვერ განხორციელდა და იმედია, რეფორმა მომავალშიც გაგრძელდება. მეტსაც გეტყვი — საკრებულოს ფუნქცია საერთოდ გადასახედა. თითქოს, მერია-საკრებულოს შემთხვევაში, მთავრობა-პარლამენტის ერთიერთობის მოდელია გადმოტანილი, არადა, ასე არაა და სწორიც არ მგონია. დასავლეთის გამოცდილების მიხედვით, თვითმმართველობის ქვედა დონეებია გაძლიერებული და მერს სწორედ ისინი აკონტროლებენ. როგორც მერიაში ამბობენ, ახლა მუშაობა მიდის ქალაქის გენერალურ გეგმაზე, რაც თბილისის მართვის პოლიტიკის საფუძველი უნდა იყოს. სამწუხაროდ, საკრებულოში დაინტერესება ნაკლებია. ხანდახან, საკითხი ისეც დგება, რომ რადგან მერიაშიცაა და საკრებულოშიც ერთი პოლიტიკური გუნდის წევრები არიან, მერიას ყველაფერში მხარი უნდა დაუჭირონ. ეს სწორი მიდგომა არ მგონია. საკრებულო, თავისი ფუნქციით, ოპოზიციური უნდა იყოს, მაგრამ ვერ არის!

— **ე.ი. საუბრები ნარმანიას განირავს და მისთვის იმპიჩმენტის მოწყობაზე, მხოლოდ ჭორებია?**

— უმრავლესობის ხმების გარეშე ნარმანიას იმპიჩმენტის პროცედურა არ გამოვა. ეს არც მოხდება, ცოტა უხერხულია, როცა შენი პოლიტიკური გუნდის წევრი და მინისტრი ჯერ წა-

მოიყვანე და ქალაქის მერად აირჩიე და ახლა შენ თვითონ უწყობ იმპიჩმენტს. მაგას ჯობს უთხრა, წადიო და თვითონ წავიდეს. თუ ოპოზიციამ გადავიდა, მაშინ კი მოუწყობენ იმპიჩმენტს, მაგრამ მგონი, ჯერჯერობით, არც წასვლას აპირებს და არც ოპოზიციამ გადასცლას.

— **ჭორებზე ვსაუბრობთ და საგარეჯოში არჩევნების მერე, დაახლოებით ასეთი რამ დანერეთ — მითი რესპუბლიკელების განსაკუთრებული არაპოპულარობის შესახებ გაქარწყლდაო. ასე რატომ გგონიათ?**

— ჯერ ერთი, ჩვენზე დაბალი რეიტინგი ქართული პარტიების 90%-ს აქვს და დიას, არის მითი, რომ ჩვენს წინააღმდეგ ძლიერი უარყოფითი განწყობაა ქვეყანაში.

— **და ეს მითია?**

— მითია, აბა რა არის. ძალიან ბევრს დავდივარ, სულ ხალხთან მაქვს ურთიერთობა და ამ დამოკიდებულებას ვერსად ვხედავ. გაცილებით დიდია იმ ხალხის რაოდენობა, ვინც ნაციონალურ დასახარად ვერ იტანს. ჩვენზე მაღალი უარყოფითი რეიტინგი აქვს ნინო ბურჯანაძესაც და სავარაუდოდ, ირმა ინაშვილსაც.

— **ირმა ინაშვილს თქვენს პარტიაზე მაღალი დადებითი რეიტინგი აქვს და ეს სწორედ საგარეჯოში გამოჩნდა, სადაც პატრიოტთა ალიანსი მთელი კოალიციის წინააღმდეგ იყო და დაახლოებით ერთნაირი შედეგებიც დაიდო. ასე არაა?**

— არაფერიც არ გამოჩნდა, მით უმეტეს, სულ 34%-იანი აქტივობა დაფიქსირდა და არჩევნებზე მხოლოდ მოსახლეობის მესამედი მოვიდა. ირმა ინაშვილმა ჩვენზე ბევრად ადრე დაიწყო კამპანია საგარეჯოში, თანაც სპეციფიკური ფორმით. ის არ ამბობდა, რომ ხელისუფლება ცუდია, ძირითადად, რესპუბლიკელებს ვგავინებდა. თან, ორი უზარმაზარი ჯოპით დადიოდნენ და ინფორმაციას ავრცელებდნენ, რეალურად, „ოცნებისა“ და ივანიშვილის ფარული კანდიდატი ირმაო. ვფიქრობ, ამ ბრძოლას სიმწვავე სწორედ არჩევნებში რესპუბლიკელი კანდიდატის მონაწილეობამ შესძინა, თორემ კოალიციის კანდიდატი სხვა პარტიიდან რომ ჰყოლოდა, შესაძლოა, ირმასაც გაემარჯვა. იმ პოსტსაარჩევნო ისტერიის ფონზე, რასაც დღემდე აწყობენ, მრჩება მთაბეჭდილება, რომ მართლა ჰქონდათ ილუზია, „ოცნება“ მხარს მათ უჭერდა და ახლა თავს „გადაგდებულად“ მიიჩნევენ.

— **რა ანალიზის გაკეთება შეიძლება შუალედური არჩევნებით, რა იქნება 2016 წელს?**

— ამის თქმა ძნელია, რადგან 2016 წლის არჩევნებში ნაციონალური მიიღებენ მონაწილეობას, ალასანიაც, ბურჯანაძეც და სხვებიც. ფაქტია, „ოცნების“ რეიტინგი შემცირებულია და თუ არჩევნებამდე რალაც რადიკალური ზომები არ მივიღეთ, რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ერთ-ერთი მთავარი ცვლილება ის უნდა იყოს, რომ „ოცნების“ დღის წესრიგი და მთავარი გზავნილი, ნაციონალურ ბრძოლას არ უნდა ეხებოდეს. ეს ხალხსაც მოეზრდა. ადამიანებს რალაც პოზიტიური განაცხადი და სასიკეთო შეთავაზებები სჭირდება, რაც ნაციონალურ თან უკანასკნელად, გადაწყვეტილებებს, დაჭერასა და მსგავს განცხადებებს არ უნდა უკავშირდებოდეს. აი, ყველაზე ცუდი სწორედ ეს დაპირებებია, როცა ამბობ დავიჭერო და ვერ იჭერ. ახლაც ასეთივე აჟიოტაჟია ამტყდარი ამ ჩანაწერებზე. რომელი გადატრიალების მომწყობი სოფო ნიუარაძეა, რომ იბარებენ და კითხავენ, თან ამხელა ხმაურით? ჩანაწერები საერთოდ ნაცების მოგონია, მაგრამ ვინეც რამე დაიდებოდა, ყველას დაკითხვაზე კი არ იბარებდნენ? ხომ გახსოვთ, გოგა ხაინდრავა და ლევან ბერძენიშვილი რუსეთის აგენტებად და ჯაშუშებად რომ გამოაცხადეს, მაგრამ დაკითხვაზე კი არ დაუბარებიათ! თვითონაც არ სჯეროდათ ამ ბრალდების და იმიტომ. ნაციონალები ყველაფერს პოლიტიკური პიარის თვალთ უყურებდნენ, მართლა კი არ სჯეროდათ, რომ ქვეყანაში გადატრიალება ხდებოდა.

— **მერე, დღეს ამაზე რატომ არ საუბრობენ, თუნდაც ბატონი ლევანი, რომელიც ახლა ხელისუფლებაშია და იცის, რომ ეს ბრალდებები სასაცილოა. თავად „ოცნებაში“ რა განწყობაა, სჯერათ შეთქმულების?**

— ლოგიკას ვერ ვიჭერ, როგორ უნდა მოეწყოს სააკაშვილს შეთქმულება „რუსთავეა 2“-ის დაცვით? თორემ, არეულობა და ძალადობაზე ხელისუფლების პროვოცირება რომ ისურდა, ეს ცხადია. თუმცა ამით სახელმწიფოს ვერ გადაატრიალებდნენ. გარდა ამისა, ნაციონალები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ, როგორი იმიჯი ექნებოდათ საზღვარგარეთ. პოლიტიკური ლიდერის წინააღმდეგ საქმის აღძვრა ჯაშუშობის ბრალდებით, თუ ძალიან მტკიცედ არ გაქვს დასაბუთებული, მთელი მსოფლიო თვალში ეჭვებს აჩენს. რეალურად, სააკაშვილს არცერთი პოლიტიკური ლიდერი არ დაუჭერია, რადგან იცოდა, რომ საზღვარგარეთ ამას ცუდი რეზონანსი მოჰყვებოდა. ახლა კი, სამართლებრივ ასპექტებს რომ არ შევხებით, ეს დაკითხვები პიარის თვალსაზრისითაც წამგებიანია. ლიდერები რომ მიგყავს და მოგყავს დაკითხვებზე, დასავლეთის თვალში ეჭვი ჩნდება, ეს პროცესი პოლიტიკურად მოტივირებული ხომ არ არის. ამ დროს, რა ხდება ქვეყნის შიგნით — ხალხს იმედია აქვს, რომ ამ ლიდერებს დაიჭერენ და ციხეში ჩაყრიან. სინამდვილეში კი, ეს ლიდერები დაკითხვაზე მოდიან, შესვლის წინ ხელისუფლებას აგინებენ, მერე უკან გამოდიან და ისევ ხელისუფლებას აგინებენ. ამგვარად, ყველას თვალში ნაგებული ხარ და ეს ტაქტიკა, პიარის თვალსაზრისით, სრული კატასტროფაა. მაგარი ბიჭი არც ქვეყნის შიგნით ხარ და საზღვარგარეთაც ეჭვებს აჩენ, ყველა თვალში მინუსებს იწერ! ამ ტაქტიკას ვინ გეგმავს, არ ვიცი, მაგრამ მე რომ არაფერს მეკითხებინან, ალბათ ხვდებით. ასე რომ, ამ საკითხში სერიოზული პრობლემები გვაქვს, თუმცა პასუხი ყველამ უნდა აგოს, ვისაც რამე დანაშაული მიუძღვის.

მანია მიხეილაძე
593-51-90-12

მოსამართლე გიორგი სულაკაძეს, რომელიც ბიზნესმენის, ვანო ჩხარტიშვილის სარჩელების უმრავლესობას განიხილავს, მოპასუხე მხარის ადვოკატი სისხლის სამართლის დანაშაულში ამხელს. პარასკევს, 6 ნოემბერს, კომპანიების — „ტრანსფორდისა“ და „პორტლენდის“ ადვოკატი სოსო ბარათაშვილი, მთავარ პროკურატურას სარჩელით მიმართავს და გიორგი სულაკაძის აცხადებს მოითხოვს. სოსო ბარათაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენლები კანონის დარღვევასაც კი არ ერიდებიან, რათა მათი სარჩელი კონკრეტულად გიორგი სულაკაძესთან მოხვდეს. ბიზნესმენის ერთ-ერთი სარჩელი „ფოთის ნისქვილქარხნის“ ეხება, რომლითაც ჩხარტიშვილი „ტრანსფორდს“, „პორტლენდს“ „აგრიკომსა“ და თიბისი ბანკს უპირისპირდება. მეორე საქმე კი „ტრანსფორდისა“ და ფოთის საზღვაო ნავსადგურის წინააღმდეგ, ვანო ჩხარტიშვილის კუთვნილი კომპანიების — „ჯეესკოსა“ და „პრომეტკოს“ სარჩელია.

ამერიკული კომპანია „ტრანსფორდისა“ და კანადური „პორტლენდის“ ადვოკატი, სოსო ბარათაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მოსამართლე გიორგი სულაკაძე ერთდროულად, რამდენიმე საქმეს განიხილავს, რომლებშიც ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის სახელი ფიგურირებს. ადვოკატის თქმით, პირველი საქმე „ფოთის ნისქვილქარხნის“ სარჩელია, რომელიც ჩხარტიშვილმა „პორტლენდის“, „ტრანსფორდის“, „აგრიკომისა“ და თიბისი ბანკის წინააღმდეგ შეიტანა: „თბილისის საქალაქო სასამართლოში, ეს სარჩელი 2014 წლის შემოდგომაზე შეიტანეს, რომელიც განსახილველად მოსამართლე გიორგი სულაკაძეს გადაეცა. სარჩელში მითითებულია, რომ ფოთის „ნისქვილქარხნის“ თიბისი ბანკიდან სესხი ჰქონდა აღებული, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე ვანო ჩხარტიშვილია. იმის გამო, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში, ერთ-ერთი მინისტრის დავალებით შექმნილმა ორგანიზებულმა ჯგუფმა ჩხარტიშვილის დევნა დაიწყო, უძრავი ქონება, რომელიც „ნისქვილქარხნის“ სახელზე ირიცხებოდა, ორ კომპანიაზე — „ბლექსიქოლდსა“ და „ეინკორპს“ გადაფორმდა. „ბლექსიქოლდის“ 50%-იანი წილის მფლობელი ვანო ჩხარტიშვილი, ხოლო „ეინკორპის“ ბენეფიციარი მესაკუთრე რომან ფიფიაა. ყველა ეს გარიგება თვალთმაქცური იყო, რადგან არც ერთ კომპანიას, ერთი თეთრიც კი არ გადაუხდია „ნისქვილქარხნისთვის“, არადა, 2010 წლის დეკემბრამდე, უძრავი ქონება ისევ „ნისქვილქარხნის“ სახელზე ირიცხებოდა. 2010 წლის დეკემბერში, იმის გამო, რომ არც „ნისქვილქარხნისა“ და არც ამ ქონების შემძენ ახალ კომპანიებს დავალიანება არ გაუსტუმრებია, თიბისი ბანკმა ქონება აუქციონზე გაიტანა, თავადვე შეიძინა და „ნისქვილქარხნის“ კომპანია „აგრიკომს“ მიყიდა. ამის შემდეგ, ეს ქონება „პორტლენდის“ სახელზე დააბრუნა. ეკონომიკური ვითარების კი „პორტლენდის“ ახალმა მესაკუთრემ, ამერიკულმა „პეისმა“ შეიძინა და იჯარის სახით, გადაამხიდა კომპანია „ტრანსფორდს“ გადასცა. „ფოთის ნისქვილქარხნის“ სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება იქიდან გამომდინარე მიიღო, რომ ჩხარტიშვი-

ადვოკატი სოსო ბარათაშვილი ვანო ჩხარტიშვილს მოსამართლე გიორგი სულაკაძესთან ბარიერებში აღნაგავსებს და პროკურატურას მიმართავს



ლის კუთვნილმა ორმა კომპანიამ — „ბლექსიქოლდმა“ და „ეინკორპმა“ ამ კომპანიას მოთხოვნის უფლება დაუთმო“. სოსო ბარათაშვილის განმარტებით, „ფოთის ნისქვილქარხნის“ წარმომადგენლები, სარჩელში აღნიშნავენ, რომ მათ აუქციონის ჩატარების შესახებ, ბანკისგან შეტყობინება არ მიუღიათ. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ვანო ჩხარტიშვილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა, მოსარჩელე მხარე ითხოვს, როგორც აუქციონის შედეგების, ასევე უძრავი ქონების გასხვივების შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობას. მეტიც, მიუღებელი შემოსავლისა და მიყენებული ზიანისთვის, „ფოთის ნისქვილქარხნის“ წარმომადგენლები 32 მილიონ აშშ დოლარსაც ითხოვენ: „სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ ქონება, რომელსაც „ფოთის ნისქვილქარხნის“ თავის დროზე ფლობდა, წამგებიანი იყო და ამას მოსარჩელეც ადასტურებს. შემდგომში, ეს ქონება შპს „აგრიკომმა“ შეიძინა, რომელიც საქართველოში ხორბლის ერთ-ერთი მსხვილი შემომტანია, ამ ადგილზე ტერმინალი ააშენა. რაც შეეხება ერთ-ერთი მინისტრის დავალებით შექმნილ ორგანიზებულ ჯგუფს, რომელიც ვანო ჩხარტიშვილს დევნიდა, ეს ფაქტი არც მოსარჩელისა და არც მოპასუხის მხრიდან ჩართული მოწმეების დაკითხვის შედეგად დადასტურდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც ჩხარტიშვილის განცხადებით, მის წინააღმდეგ დაიწყო, მსვლელობა მიეცემოდა და გარკვეულ პირობებს ბრალსაც წარუდგენდნენ. ამ საქმეზე კი არავის მიმართ არ არის წარდგენილი ბრალი, პირიქით, მოწმეთა ჩვენებებით, სულ სხვა რამ დადასტურდა: იმ პერიოდში, როდესაც ჩხარტიშვილი თვლიდა, რომ იდენტიფიცირდა, თიბისი ბანკიდან ის დაუბრკოლებლად იღებდა კრედიტებს და ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები ბანკის წარმომადგენელმა

სასამართლოს წარუდგინა კიდევ. ჩხარტიშვილი თავის ჩვენებაში აცხადებს, რომ ერთ-ერთი მინისტრი, რომლის დავალებითაც ორგანიზებული ჯგუფი შეიქმნა, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ვანო მერაბიშვილი იყო. ამიტომ, სასამართლოს მიემართეთ მოთხოვნით, რომ ვანო მერაბიშვილი ამ საქმეზე მონაწილე დაკითხულიყო. თავდაპირველად, მოსამართლე გიორგი სულაკაძემ დააკამათა ფილა ჩვენი შუამდგომლობა, მაგრამ ერთ-ერთ, შემდგომ პროცესზე განაცხადა, ვანო მერაბიშვილი მაინც არაფერს იტყვისო და მოწმეთა სიიდან ამორიცხა. ამ ფაქტზე ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე, კახა დამენიაც დაიკითხა, რომელსაც ჩხარტიშვილის ჩვენების მიხედვით, თითქოს ვანო მერაბიშვილმა უთხრა, რომ მას ეს ბიზნესი არ უნდა ჰქონოდა. თუმცა, კახა დამენიამ მინისტრის ვინაობა ვერ დაასახელა და შესაბამისად, ჩხარტიშვილის ჩვენების ეს ნაწილიც არ დადასტურდა“. როგორც სოსო ბარათაშვილმა „ვერსიას“ განუმარტა, შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: მოსამართლე გიორგი სულაკაძემ, 14 აგვისტოს, ნაწილობრივი გადაწყვეტილება მიიღო, რაც ადვოკატის განცხადებით, კანონის უხეში დარღვევაა, რადგან ნაწილობრივი გადაწყვეტილება სასამართლომ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოიტანოს, თუ რომელიმე მხარის შუამდგომლობა დადგება. სოსო ბარათაშვილი გვიამბობს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არცერთ მხარეს მოსამართლის წინაშე შუამდგომლობა არ დაუყენებია, ანუ ნაწილობრივი გადაწყვეტილებით, გიორგი სულაკაძემ აუქციონის შედეგები და ის ხელშეკრულებები გააუქმა, რომლებიც უძრავი ქონების ნასყიდობას ეხებოდა: „14 აგვისტოს შემდეგ, დაახლოებით, სამი თვის განმავლობაში, მოსამართლე გიორგი სულაკაძემ გადაწყვეტილება არ გადმოგვცა, რაც იმით ახსნა, რომ შევებულეში იმყოფებოდა. ბოლოს და ბოლოს, ეს გადაწყვეტილება მივიღეთ, რომელსაც აუქციონებლად გავასაჩივრებთ, რადგან ამ შემთხვევაში, მოსამართლე მეორე მხარის დამცველად მოგვევლინა. ცხადია, გიორგი სულაკაძის ქმედება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ავიხსნით, რატომ. მოსარჩელე ამტკიცებდა, თითქოს „ბლექსიქოლდთან“ და „ეინკორპთან“ დადებული ხელშეკრულება კეთილსინდისიური გარიგება იყო, მოსამართლე კი ნაწილობრივ გადაწყვეტილებაში წერს, რომ რადგან ჩხარტიშვილი იდენტიფიცირდა, ის იძულებული გახდა, თვალთმაქცური გარიგებები დაედო! თუ ეს გარიგება თვალთმაქცური იყო, რასაც მოსამართლემ კი აღიარებს, მაშინ საკითხავია, სარჩელის მოთხოვნის უფლება როგორ დათმეს ამ თვალთმაქცური გარიგების მონაწილეებს? რაც შეეხება ზიანის მოთხოვნას, ეს პროცესი კვლავ გრძელდება. სასამართლოს სხდომაზე ყველა მოპასუხემ, მათ შორის, „აგრიკომმა“, „პორტლენდმა“ და თიბისი ბანკმა წარადგინა მტკიცებულებები, რომ ამ გარიგების შედეგად, არც „ფოთის ნისქვილქარხნისა“ და არც ვანო ჩხარტიშვილს არავითარი ზიანი არ მისდგომია. პირიქით, დავალიანება ახლაც გადასახდელია. პროცესზე გაირკვა, რომ თუ ზიანის ასანაზღაურებლად, 32 მილიონ დოლარს მიიღებს, ვანო ჩხარტიშვილის კომპანია „ბლექსიქოლდი“ მზადაა, 15 მილიონი დოლარი ამ საქმეს მოახმაროს. ლოგიკა ასეთია, ვანო ჩხარტიშვილს, მისივე განცხადებით, 100 მილიონი დოლარი აქვს, მაგრამ დამატებით 32 მილიონ დოლარს თუ მიიღებს, მზადაა, 15 მილიონი დოლარი ამ ბიზნესის განსავითარებლად გამოყოს. იმ ნაწილში, რომლითაც აუქციონის შედეგები და უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები ბათილად ცნეს, დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნა არ დასმულა. თუმცა 2 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რომლითაც უზრუნველყოფის სახით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მოქმედება შეაჩერა. ეს ნიშნავს, რომ ამ ტიპის საქმეებზე, დაუყოვნებლივ აღსრულება არ შეიძლება!“

პერიანისი პროვნილა განკარგო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით 7.5%-მდე გაზარდა



საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, რეფინანსირების განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით გაზარდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ამ დროისთვის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7.5 პროცენტს შეადგენს. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მონეტარული პოლიტიკის განაცხადები ეყრდნობა მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, რომლის მიხედვით ეროვნული ბანკი აგრძელებს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას გაზრდილი ინფლაციური მოლოდინის საპასუხოდ. მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლებზე, მასზე მოქმედ ფაქტორებსა და ზოგადად ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე. მიმდინარე პროგნოზის მიხედვით, ინფლაცია 2016 წლის დასაწყისში ეროვნული ბანკის მიზნობრივი მაჩვენებლის მაღლა შენარჩუნდება, შემდეგ დაიწყებს შემცირებას და 5%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს 2016 წლის მეორე ნახევარში მიაღწევს. სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 5.8% შეადგინა. ინფლაციის ზრდის განმსაზღვრელი კვლავ მინორების მხარეს მოქმედი ფაქტორებია. კერძოდ, გაცვლითი კურსის გაუფასურებით განპირობებული წარმოების შუალედური ხარჯების გაძვირება და ცალკეულ იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა. ასევე, ელექტროენერჯის გადასახადის ერთჯერადი მატება. როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მესამე კვარტალში პროგნოზირებულიდან შესაბამისი იყო. წინასწარი მონაცემებით წლის დასაწყისიდან ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 2.7% შეადგინა. ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორს საგარეო სექტორს წარმოადგენს, რომელიც რეგიონში არსებული მიმდევრობითი ეკონომიკური ვითარების ფონზე, ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე. წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა, ძირითადად, შიდა მოთხოვნით იყო განპირობებული. ამავე დროს შიდა მოთხოვნაზე უარყოფითად მოქმედებს ფულადი გზავნილების შემცირება და უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის უკვე ცვლილების შედეგად მომსახურების ტვირთის ზრდა. პოზიტიური ტენდენციები გრძელდება საგარეო დისბალანსის აღმოფხვრის მხრივ. შემცირებული სავალუტო შემოდინებების ფონზე, გაცვლითი კურსის ცვლილებამ დააჩქარა იმპორტის კორექტირების პროცესი. წლის დასაწყისიდან, იმპორტის კლებამ 14% შეადგინა (გრანტით მიღებული ჩვეულებრივი იმპორტის გარეშე). შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებული საგარეო შოკის ეფექტი კურსზე ამონურულია. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2015 წლის 16 დეკემბერს გაიმართება.


საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, რეფინანსირების განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით გაზარდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ამ დროისთვის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7.5 პროცენტს შეადგენს. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მონეტარული პოლიტიკის განაცხადები ეყრდნობა მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, რომლის მიხედვით ეროვნული ბანკი აგრძელებს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას გაზრდილი ინფლაციური მოლოდინის საპასუხოდ. მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლებზე, მასზე მოქმედ ფაქტორებსა და ზოგადად ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე. მიმდინარე პროგნოზის მიხედვით, ინფლაცია 2016 წლის დასაწყისში ეროვნული ბანკის მიზნობრივი მაჩვენებლის მაღლა შენარჩუნდება, შემდეგ დაიწყებს შემცირებას და 5%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს 2016 წლის მეორე ნახევარში მიაღწევს. სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 5.8% შეადგინა. ინფლაციის ზრდის განმსაზღვრელი კვლავ მინორების მხარეს მოქმედი ფაქტორებია. კერძოდ, გაცვლითი კურსის გაუფასურებით განპირობებული წარმოების შუალედური ხარჯების გაძვირება და ცალკეულ იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა. ასევე, ელექტროენერჯის გადასახადის ერთჯერადი მატება. როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მესამე კვარტალში პროგნოზირებულიდან შესაბამისი იყო. წინასწარი მონაცემებით წლის დასაწყისიდან ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 2.7% შეადგინა. ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორს საგარეო სექტორს წარმოადგენს, რომელიც რეგიონში არსებული მიმდევრობითი ეკონომიკური ვითარების ფონზე, ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე. წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა, ძირითადად, შიდა მოთხოვნით იყო განპირობებული. ამავე დროს შიდა მოთხოვნაზე უარყოფითად მოქმედებს ფულადი გზავნილების შემცირება და უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის უკვე ცვლილების შედეგად მომსახურების ტვირთის ზრდა. პოზიტიური ტენდენციები გრძელდება საგარეო დისბალანსის აღმოფხვრის მხრივ. შემცირებული სავალუტო შემოდინებების ფონზე, გაცვლითი კურსის ცვლილებამ დააჩქარა იმპორტის კორექტირების პროცესი. წლის დასაწყისიდან, იმპორტის კლებამ 14% შეადგინა (გრანტით მიღებული ჩვეულებრივი იმპორტის გარეშე). შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებული საგარეო შოკის ეფექტი კურსზე ამონურულია. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2015 წლის 16 დეკემბერს გაიმართება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კონკურსი — „მისია 2015“, თბილისი ბანკის მხარდაჭერით ჩატარდება. კონკურსი ორეტაპიანია და მასში მონაწილეობას მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალობით დაინტერესებული სტუდენტები მიიღებენ. „მისია 2015“-ის პრეზენტაცია სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. პროექტი და კონკურსის პირობები სტუდენტებს უნივერსიტეტის რექტორმა, ვლადიმერ პაპავამ და თბილისი ბანკის საგარეო ურთიერთობებისა და მედიაკომუნიკაციების დირექტორმა, თამარ კირვალიძემ გააცნეს.

სტუდენტური კონკურსი — „მისია 2015“, 2011 წლიდან, ყოველწლიურად ტარდება. კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტებს საინტერესო იდეების განხორციელებაში, პროფესიულ განვითარებასა და რაც მთავარია, დასაქმებაში. თბილისი ბანკის საგარეო ურთიერთობებისა და მედიაკომუნიკაციების დირექტორის, თამარ კირვალიძის განმარტებით, კონკურსის ფარგლებში, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, თბილისი ბანკის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ვირტუალური მენეჯერები გახდნენ. მეტიც, კონკურსის მონაწილეები დაგეგმავენ კონკრეტულ აქტივობებს, მოიპოვებენ ფულად პრემიებს და საკუთარ იდეებსაც განახორციელებენ: „ფაქტობრივად, ახალ პროექტს ვაანონსებთ, რასაც რამდენიმე წელია, უნივერსიტეტი ატარებს. თუმცა, წელს ეს კონკურსი თბილისი ბანკისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდება. სტუდენტური კონკურსი — „მისია 2015“, სტუდენტების შესაძლებლობების გამოვლენის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სტუდენტები თბილისი ბანკის კომუნიკაციებისა და მარკეტინგის ვირტუალური მენეჯერები იქნებიან. წარმატების შემთხვევაში კი, ისინი ბანკის რეალური მენეჯერები იქნებიან. დიდი ხანია, რაც ჩვენს ბანკის პრიორიტეტი, ახალგაზრდების განათლებაში ინვესტიცია და ვიფიქრობ, ეს კონკურსი ჩვენი ერთ-ერთი, წარმატებული პროექტი იქნება“.

თამარ კირვალიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ თბილისი ბანკი სტუდენტურ კონკურსში წელს პირველად მონაწილეობს. თუმცა, ბანკის პარტნიორი კომპანიები — „ბორჯომი“ და „გურიელი“, გასულ წლებში, ამ კონკურსის მხარდაჭერები იყვნენ და ამ მხრივ, მათ ძალიან კარგი გამოცდილება აქვთ. მისი თქმით, სტუდენტების ნახალისება და მათთვის გარკვეული შესაძლებლობების მიცემა, თბილისი ბანკის ერთ-ერთი, პრიორიტეტული მიმართულება იყო ყოველთვის. მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთშიც სწავლობდა და ESM-ის სტუდენტიც იყო, თამარ კირვალიძე ყოფილი უნივერსიტეტელია და ეს სივრცე მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

თბილისი ბანკი სტუდენტური კონკურსი — „მისია 2015“-ის პარტნიორია



პიარცენოლოგიების სპეციალობით დაინტერესებული სტუდენტები ბანკის ვირტუალური მენეჯერები გახდებიან

სტუდენტური კონკურსი — „მისია 2015“, ორეტაპიანი იქნება. 3-დან 5 სტუდენტის ჩათვლით, გუნდები შეიქმნება, რომლებსაც პირველ ტურში დავალებას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები მისცემენ. მეორე ტურში გასული გუნდები კი დავალებას უშუალოდ თბილისი ბანკისგან მიიღებენ. თამარ კირვალიძის განცხადებით, კონკურსის საპრიზო ფონდი 5 000 ლარია, რაც სტუდენტურ კონკურსში გამარჯვებულ სამ გუნდს შორის ასე განაწილდება: პირველ ადგილზე გასული გუნდი — 2 500 ლარით, მეორე ადგილზე — 1 500 ლარითა და მესამე ადგილზე — 1 000 ლარით დაჯილდოვდება. მისივე თქმით, ელექტრონული წიგნების სახელი „საბა“, სტუდენტური კონკურსის — „მისია 2015“-ის ყველა მონაწილეს საჩუქრად 10 ელექტრონულ წიგნს, მათ შორის, პროფესიულ და მხატვრულ ლიტერატურას გადასცემს.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ვლადიმერ პაპავა: „სახელმწიფო უნივერსიტეტს ბიზნესთან თანამშრომლობის საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს, რაც ღრმავდება. სტუდენტური კონკურსი — „მისია 2015“, წელს უკვე მეხუთედ ტარდება და ყოველ წელს, ამ პროექტის პარტნიორი სხვადასხვა ბიზნესკომპანიაა. წელს ამ კონკურსის პარტნიორი, საქართველოს საბანკო სისტემის ერთ-ერთი, გამორჩეული ჯგუფი — თბილისი ბანკია. პიარცენოლოგიების სპეციალობით, სტუდენტების დაინტერესება დიდია და ამ მიმართულებით, სტუდენტური კონკურსის ფარგლებში, ისინი კვალიფიკაციას არა მხოლოდ თეორიულად, არამედ — პრაქტიკულად, კონკრეტულ ბიზნესკომპანიაში აიმაღლებენ“.

მაია მიშელაძე

სასამართლო დავა

ადვოკატი სოსო ბარათაშვილი ვანო ჩხარტიშვილს მოსამართლე გიორგი სულაკაძესთან გარიგებაში აღნაგობებს და პროკურატურას მიმართავს

მე-4 გვერდიდან
სოსო ბარათაშვილის განცხადებით, მეორე საქმე ეხება ჩხარტიშვილის კუთვნილი კომპანიების — „ჯეესკოსა“ და „პრომეტკოს“ სარჩელს, რომლითაც ბიზნესმენი „ტრანსფორდსა“ და ფოთის საზღვაო ნავსადგურს უპირისპირდება. ადვოკატის თქმით, მოსამართლე გიორგი სულაკაძემ, ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება უგულებელყო, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულია: „შპს „ჯეესკოსა“ და კომპანია „პრომეტკოს“ სარჩელი ფოთის საზღვაო ნავსადგურისა და კომპანია „ტრანსფორდის“ წინააღმდეგ, რომელსაც მოსამართლე სულაკაძე იხილავს, ფოთის საქალაქო სასამართლომ გააერთიანა და ამავე სასამართლოს დაუქვემდებარა. მიუხედავად ამისა, ჩხარტიშვილის წარმომადგენლების სასარგებლოდ, მოსამართლე გიორგი სულაკაძემ, ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინება უგულებელყო და საქმის დამოუკიდებლად განხილვას აგრძელებს. ჩვენ სულაკაძის ამ საქმიდან აცილების საკითხიც დავსვით, მაგრამ მან განაცხადა, რომ ამ საკითხს ღიად ტოვებდა და 26 ოქტომბერს დაუბრუნდებოდა. 26 ოქტომბერს, მოსამართლე გიორგი სულაკაძემ სასამართლო სხდომა გააგრძელა და განაცხადა, რომ საქმეს ფოთში არ ვაგზავნის. ვანო ჩხარტიშვილის კომპანიებმა, „ჯეესკომ“ და „პრომეტკომ“, ხელშეკრულების დარღვევასა და ამავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ფოთის საზღვაო ნავსადგურისა და კომპანია „ტრანსფორდის“ წინააღმდეგ, ფოთის საქალაქო სასამართლოში სარჩელი 2012 წელს შეიტანეს. ეს საქმე ინსტანციის სასამართლომ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ჩხარტიშვილის კუთვნილი კომპანიების — „ჯეესკოსა“ და „პრომეტკოს“ სარჩელები არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ, ამ კომპანიების წარმომადგენლებმა ფინანსურ პოლიციას მიმართეს და განაცხადეს, რომ უკრაინელი ექსპერტების მი დასკვნა, რაც ფოთის საქალაქო სასამართლოს გამამართლებელ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო, ყალბი იყო“.

მხარის სასარგებლოდ, დადგენილება გამოიტანა. ფინანსურ პოლიციაში კი ის მტკიცებულება გაუქმდა, რომელიც ფოთის საზღვაო ნავსადგურისა და „ტრანსფორდის“ სიმართლეს ადასტურებდა. ჩხარტიშვილის კომპანიების წარმომადგენლებმა ფოთის საქალაქო სასამართლოსაც მიმართეს და სამი ინსტანციის მიერ, „ტრანსფორდისა“ და ფოთის საზღვაო პორტის სასარგებლოდ გამოტანილი, უკვე ძალაში შესული გადაწყვეტილებების გაუქმება მოითხოვეს. ფოთის საქალაქო სასამართლომ „ჯეესკოსა“ და „პრომეტკოს“ წარმომადგენლების მოთხოვნა არ გაიზიარა და ამის შემდეგ, მათ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართეს. სოსო ბარათაშვილის განცხადებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ფოთის საზღვაო ნავსადგურისა და „ტრანსფორდის“ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება გააუქმა და შემდგომი მსვლელობისთვის, საქმე ფოთის საქალაქო სასამართლოს დაუბრუნა. 2014 წელს, „ჯეესკოს“ წარმომადგენლებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა, რომელიც განსახილველად კვლავ გიორგი სულაკაძეს გადაეცა. სულაკაძემ „ჯეესკოს“ სარჩელი არასათანადოდ მიიჩნია და მხარეს დაუხსტება მოსთხოვა, „ჯეესკომ“ ეს „ხარვეზი“ გამოასწორა და მოსამართლე ამ საქმეს, ამიერიდან „პრომეტკოს“ სახელით განიხილავს: „ბუნებრივია, მოსამართლე გიორგი სულაკაძეს, ეს სარჩელი საერთოდ არ უნდა მიეღო წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, საკუთარი განჩინებით, სულაკაძემ საქმეში სრულიად უკანონოდ შემოიყვანა „პრომეტკოს“. მათი მიზანი ის იყო, რომ ეს საქმე უშუალოდ გიორგი სულაკაძესთან მოხვედრილიყო. პარალელურად, ფოთის საქალაქო სასამართლოდან, „ჯეესკომ“ და „პრომეტკომ“ სარჩელები გაიხმეს, ფოთის საზღვაო ნავსადგურის წარმომადგენლებმა კი შესაგებებული სარჩელი არ გაიხმო. შედეგად, ერთი საქმის განხილვა მიმდინარეობს, როგორც თბილისის საქალაქო, ასევე ფოთის საქალაქო სასამართლოებში, რაც სრული ნონსენსი და კანონის უხეში დარღვევაა! ფოთის საზღვაო ნავსადგურის წარმომადგენლებმა, მიმდინარე წლის სექტემბერში, ფოთის საქალაქო სასამართლოში დააყენა შუამდგომლობა ფოთსა და თბილისში მიმდინარე საქმეების გაერთიანებაზე. 2015 წლის 29 სექტემბერს, ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, აღნიშნული

საქმეები გაერთიანდა და ფოთის საქალაქო სასამართლოს დაექვემდებარა, ხოლო საქმეს ახალი ნომერი მიენიჭა. თბილისის საქალაქო სასამართლოში, 8 ოქტომბერს გამართულ პროცესზე, ფოთის საზღვაო ნავსადგურის წარმომადგენლებმა, ფოთის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული განჩინება წარადგინა, მაგრამ ამის მიუხედავად, მოსამართლე სულაკაძემ ამ საქმის ფოთის საქალაქო სასამართლოში გაგზავნაზე უარი განაცხადა. მოსამართლე გიორგი სულაკაძემ, სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი დარღვია, რაც სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებისადმი დაუმორჩილებლობას ეხება. კანონის თანახმად, სულაკაძეს საერთოდ არ ჰქონდა უფლება, ემსჯელა, სწორი იყო თუ არა ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინება. თუმცა სულაკაძე ჯიუტად აგრძელებს უნომრო და დაურეგისტრირებელი საქმის განხილვას, რითაც ფოთის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესს აფერხებს. მართლმსაჯულებას ჯერ არ სმენია, რომ საქმის წარმოებას ნომერი არ ჰქონდეს, ან მოსამართლე უნომრო საქმეს იხილავდეს! თუ არა პირადი დაინტერესება, გაუგებარია, სხვა რით შეიძლება იყოს ნაკარნახევი მოსამართლე გიორგი სულაკაძის ასეთი საქციელი და ეს პირდაპირ ვუთხარი მას სასამართლო დარბაზში! როგორ მოხდა, რომ ყველა საქმეს, რომელიც ამა თუ იმ ფორმით, ვანო ჩხარტიშვილს უკავშირდება, მხოლოდ ერთი მოსამართლე იხილავს? არ მინდა, პირდაპირ განვაცხადო, რომ ვანო ჩხარტიშვილი მოსამართლე გიორგი სულაკაძეს გაურიგდა, მაგრამ ფაქტები ყველაფერზე მეტყველებს“.

სოსო ბარათაშვილის განცხადებით, ფოთის საქალაქო სასამართლო ბლოკირებულია, რადგან მოსამართლე გიორგი სულაკაძე საქმეს არ უგზავნის. მისივე თქმით, ფოთის საზღვაო ნავსადგურის წარმომადგენლებმა, მოსამართლე გიორგი სულაკაძის წინააღმდეგ, იუსტიციის საბჭოს საჩივრით უკვე მიმართა. პარასკევს, 6 ნოემბერს, კომპანია „ტრანსფორდის“ წარმომადგენლების სახელით, ადვოკატი სოსო ბარათაშვილი, ასეთივე საჩივრით იუსტიციის საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართავს. 9 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში „ფოთის ნისკელიქარხის“, ხოლო 10 ნოემბერს, „პრომეტკოსა“ და „ჯეესკოს“ საქმეების განხილვა გაიმართება.

აურზაური ნარმანიას უწყებაში

რაფომ დაფოვეს თანამდებობები გიორგი არეშიძემ და ბიძინა გიორგობიანმა

ნიმე ლურსაგანაშვილი

593-51-52-04

„ვერ გახდა ნარმანია თბილისის მეურნე მერი, ვერც ქუჩებს მიხედა, ვერც საცობებს, ვერც თბილისელების სხვა პრობლემები გადაჭრა, ვერც პროფესიონალი კადრები შემოიკრიბა გარშემო და ვერც მერიაში არსებულ ქაოსს მოუღო ბოლო“, — მსგავს განცხადებებს, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის კულისებში, უხვად მოისმენთ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მერიის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებმა, ერთმანეთის მიყოლებით, ისტერიულად დატოვეს თანამდებობები. ამჯერად, ერთ დროს „შრომის სასახლედ“ წოდებული შენობა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი არეშიძემ და ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსმა, ბიძინა გიორგობიანმა დატოვეს. დავით ნარმანიას განცხადებით, ორივე მათგანმა, მერიიდან წასვლის გადაწყვეტილება თავად მიიღო და ისინი სხვაგან აპირებენ მუშაობის დაწყებას.



შემუშავდა ქალაქის ეკოლოგიური სტრატეგია 2015-2020 წლებისთვის ისევე, როგორც ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს გამწვანების ღონისძიებები“. კაცმა რომ თქვას, ამ ქალაქში და ზოგადად ქვეყანაში, არც სპორტი ყვავის და არც ეკოლოგია, მაგრამ „მეოცნებეების“ ლოგიკა ხომ ისაა, რომ სოფელი სიმღერით არ შენდება, მითუმეტეს ერთ, ორ, სამ და ოთხ წელში. გიორგობიანმა მერიაში ყოფნისას ბევრი რამ გააკეთაო, ამბობს მერი და ამ ფონზე, უფრო აქტიულოდ ხდება კითხვა, რატომ გადაწყვიტა მან სხვა სამსახურში გადასვლა ან რას შეენირა ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსი?

ბიძინა გიორგობიანს წყალი აქვს შეყვებულო, ამას მუნიციპალიტეტის კულუარებში „ბოროტი ხმები“ ჯერ კიდევ 2-3 წლის წინ ამბობდნენ. მაშინ, როცა ხელისუფლების ცვლის შემდეგ, თბილისის ცენტრალურ უბნებში, მშენებლობის ბუმი განახლდა, მას კი თან სდევდა, ხეების მასობრივი ჩეხვა. ასე იყო თამარაშვილის ქუჩაზე, ვაკის პარკთან, კუს ტბაზე... „ხალხი მობოლიზებულია, მაგრამ ვერაფერს გავხდებით, მერიიდან შესაბამისი ნებართვა გაცემული“, — წერდნენ მაშინ ინტერნეტსივრცეში მოქალაქეები და თვალსაჩინოებისთვის, ხეების ჩეხვის დამადასტურებელ ფოტო თუ ვიდეომასალასაც დებდნენ. მაშინ ყველაზე მარტივი იყო ბიძინა გიორგობიანის სამსახურისკენ ხელის გაშვება და ყველაფრის, ერთ კაცზე გადაბრუნება. პრინციპში, ეს ხომ, ჩვენი, ქართველების სტილია. წარსულის გახსენებაც ჩვენი სტილია და მაშინ ისიც ითქვამს, ბიძინა გიორგობიანს ხე-ტყის ჩეხვაში ლამის ყიბი აქვს მოჭრილი. ხე, მერისის, ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უკვე ექსპერტისთვის, მართლაც საკრალური მცენარეა — ხე-ტყის ტყის სკანდალში, გიორგობიანი, წინა ხელისუფლების დროსაც გაეხვა. უფრო სწორად, ამ სფეროში ნაციონალების ინტერესებს გადაყვა და იძულებულიც კი გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა და დროებით გერმანიაში წასულიყო. არადა, ამბობდნენ, ამ სფეროში რეფორმები, 2004 წლიდან სწორედ ბიძინა გიორგობიანმა დაიწყო. თუმცა, რადგან იმდროინდელი მთავრობის წარმომადგენლებს ტყისადმი მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება ჰქონდათ — რაც შეიძლება მეტად ხე მოეჭრათ და გაეყიდათ, სატყეო დეპარტამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ბიძინა გიორგობიანმა, მწვანე საფარის დაცვა ვერ შეძლო. ამის გამო, გიორგობიანი ვინა მერაბიშვილსაც დაუპირისპირდა — აცხადებდა, მს მინისტრ მერაბიშვილთან უთანხმოება ხე-ტყის ბიზნესის გამო შემქმნა, სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე მისვლის დღიდან, დეპარტამენტიდან „წილების“ გაცემის გზები გადაკვეთა, რაც ნაციონალებმა არ მაპატიესო. მს კი სხვა ინფორმაციას ავრცელებდა — სატყეო დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ მუშაობის პერიოდში სახელმწიფოს 880 ათასი ლარის ოდენობის ზარალი მიყენა. 1000 ავტომანქანა ხე-ტყე მოიჭრა მაშინ, როცა ხე-ტყის ჭრაზე საქართველოში მორატორიუმი იყო გამოცხადებული. გიორგობიანმა მაშინ ამ ბრალდებებს, მტკიცებულებები დაუპირისპირა და უშიშროების სამინისტროს მაშინდელი თანამშრომელი დათა ახალაიაც ამხილა — ახალაია ჩართულია ხე-ტყის ბიზნესში, რომლის მეშვეობითაც ფულის გათეთრება ხდებაო.

ხელისუფლების ცვლასთან ერთად, ხე-ტყის ბიზნესი ბიზნესად რჩება. თანაც ისეთად, სადაც სოლიდური ფულის გათეთრების შესაძლებლობაა. დღესაც შეენირა თუ არა ბიძინა გიორგობიანი ამ ბიზნესინტერესებს, ალბათ დრო გვიჩვენებს. მანამდე კი, ნებისმიერ, მათ შორის ამ ვერსიასაც, არსებობის უფლება აქვს.

ბოლო პერიოდში თბილისის მერიაში თანამდებობები დატოვეს არქიტექტურის, კეთილმოწყობის და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურების უფროსებმა, ასევე სასწრაფო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელმა. საკადრო ცვლილებები ნარმანიას უწყებაში სახელმწიფო აუდიტის შემოწმების პარალელურად განხორციელდა. თბილისის მერიაში ქრონიკული ქაოსისა და აურზაურის ფონზე კი, დასკვნის გამოტანა, უფრო მარტივი ხდება — სისტემური ცვლილებებია საჭირო, თორემ, ერთი არეშიძისა და გიორგობიანის წასვლა-გათავისუფლებით, დიდი არაფერი იცვლება.



უკრაინული საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოებრივი-პოლიტიკური თოქ-შოუს წარმართავს

უკრაინის ტელეკომპანიის ინფორმაცია დაადასტურა და აღნიშნა, რომ ტელეკომპანიის დირექტორისგან მიიღო წინადადება, შეცვლილი ფორმატით, საზოგადოებრივი-პოლიტიკური თოქ-შოუს წარმართოს თაობაზე. მიშველადის ინფორმაციით, გადაცემა ეთერში სავარაუდოდ, 2016 წლის იანვრიდან გავა.

„რაც ვლინდება იქნება შეტანილი, მონახაზი უკვე მაქვს. გადაცემა უფრო ანალიტიკური იქნება. მის ფორმატზე კი, მიმდინარეობს მსჯელობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობასთან. მიხარია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სტანდარტების ერთგული დარჩა“, — აღნიშნა უკრაინის ტელეკომპანიის დირექტორმა, ეკა მიშველადისმა საზოგადოებრივი მაუწყებელზე თოქ-შოუ „პირველი სტუდია“ მიჰყავდა. გადაცემა მიმდინარე წლის 4 სექტემბრიდან დახურეს. ამის მოტივად კი, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მრჩეველმა, ბასა ჯანინკაშვილმა მიშველადისა და „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის, ალექსი პეტრიშკის ქორწინება დაასახელა.

სასჯელალსრულები სამინისტრო უწყებაში ჭყავის სამეულები შექმნას უარყოფს

სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია უწყებაში ჭყავის სამეულებისა და სავარძლების შექმნის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება: „კახა კახიშვილის მინისტრობის პერიოდში სასჯელალსრულების სამინისტროში საკუთარი კაბინეტის მოსაწყობად რაიმე სახის ავეჯის, სავარძლების თუ სხვა მსგავსი ინვენტარის შექმნაზე ტენდერი საერთოდ არ გამოცხადებულა. ელექტრონული ტენდერი, ჩატარებულია 2015 წლის თებერვალ-მარტის პერიოდში და მისი ღირებულება 144 ათასი ლარი იყო. შექმნილი ავეჯი კი, განკუთვნილი იყო არა ფუფუნების გარემოს შესაქმნელად, არამედ პენიტენციური დაწესებულებებისა და სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2 ადმინისტრაციული შენობის აღჭურვისთვის. შენობა, რომელშიც შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა და შემდეგ სამინისტროს ნაწილი გადავიდა, გამოუსადეგარი იყო, პრაქტიკულად თავიდან აშენდა და დღეს იქ სამინისტროს 5 დეპარტამენტის განთავსებული. ტენდერის შედეგად შექმნილი იქნა ამ შენობის აღჭურვისთვის საჭირო ინვენტარი, საოფისე სკამები, სავარძლები და სამეულები, რომელთა ნაწილი საკონფერენციო ოთახსა და სამუშაო ოთახებში განთავსდა. ნაწილი კი, მომარაგდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განთავსებული პენიტენციური დაწესებულებები, სულ 15 დაწესებულება. გავრცელებულ მასალაზე თანდართულ ფოტოებზე ალბეჭდილი ავეჯი არ შეესაბამება ამ ინვენტარს და არც მითითებული ციფრი, 500 000 ლარია სიმართლე. ამ პერიოდში ჩატარებულ სხვადასხვა ტენდერებში სამინისტრომ ჯამში 210 832 ლარი დახარჯა და ისიც არა მსგავსი ინვენტარის შესაქმნელად“.

საქართველოს პრეზიდენტი მიუღოს ნაკრებს უხვდა



საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს ძიუდოს ნაკრების წევრებს პრეზიდენტის სასახლეში უმასპინძლა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილმა ძიუდოს ნაკრებს მადლობა გადაუხადა მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს პოპულარიზაციისათვის და წარმატებები უსურვა.

„დიდი მადლობა მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს სახელის გატანისათვის. თქვენი სახელი და თქვენი მიღწევები ჩვენს საზოგადოებაში აღტაცებას იწვევს“, — განუცხადა პრეზიდენტმა ძიუდოსიტებს.

გიორგი მარგველაშვილმა ძიუდოს ნაკრების წევრებს სიმბოლური საჩუქრები — სახელობითი ინიციალებით გაფორმებული, პერანგის ვერცხლის სამაგრები გადასცა.

„ინტერპრესნიუსი“

აქსკლუზიური ინტერვიუ ლიტვის ელჩთან

გიდრიუს პუოჯუნასი: „საქართველოს საგარეო კურსი ჩვენში ექვებს არ აჩენს“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი, ოფიციალური ვიზიტით ლიტვას ესტუმრა და ლიტველ კოლეგას, ასევე ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდა. „ვიმედოვნებ, საქართველოს მოქალაქეებს მალე ექნებათ ევროპაში თავისუფალი გადაადგილების საშუალება“, — ამ განცხადების ავტორი, ლიტვის პრემიერ-მინისტრი ალგირდას ბუტკევიჩიუსია, რომელმაც საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების, ასევე ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა. ამ პათოსს უერთდება ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, გიდრიუს პუოჯუნასი, რომელიც ამ თანამდებობაზე, არც ისე დიდი ხანია დაინიშნა.



ნატოსკენ მიმავალ გზაზე, მით უფრო, რომ ქართველმა ხალხმა, ამ გაერთიანებებში შესვლის სურვილი, რეფერენდუმით დააფიქსირა?

— ბატონო გიდრიუს, საქართველოში ლიტვის ელჩის მოვალეობას არც ისე დიდი ხანია ასრულებთ. ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა როგორი შთაბეჭდილება მოახდინა?

— საქართველოში პირველად არ ვარ, 10-12 წლის წინაც ვიყავი ჩამოსული. დღეს სრულიად სხვა ვითარებაა: დინამიური, ამბიციური, ევროპული ქვეყანა დამხვდა, რომელმაც პროგრესს მოკლე დროში მიაღწია. საქართველო, უძველესი ისტორიის, მდიდარი, საინტერესო კულტურისა და თანამედროვე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დინამიური ცხოვრების შესანიშნავ კომბინაციას წარმოადგენს. გულწრფელად მიხარია, რომ ელჩი ვარ თქვენს ქვეყანაში. მოუთმენლად ველი, ვითანამშრომლო კოლეგებთან, მეგობრებთან — შეიძლება ასეც ითქვას, რადგან ჩვენ ქვეყნებს შორის საუკეთესო ურთიერთობებია.

— როგორი მემკვიდრეობა გერგოთ წინამორბედისგან და რა გეგმები გაქვთ ორმხრივი ურთიერთობის გასაღრმავებლად?

— ჩემი წინამორბედი, იონას პასლაუსკასი, საქართველოში 5 წელი მუშაობდა და ისეთი შეგრძობა მაქვს, თითქოს მისი გულის ნაწილი აქ დარჩა. ინტენსიური კავშირები ჩამოყალიბდა მისი ელჩობის პერიოდში. უკეთეს დიპლომატიურ მემკვიდრეობაზე ვერც ვიოცნებებდი. ვაპირებ, იგივე სულისკვეთებით განვაგრძო მუშაობა. როცა ვინმე ლიტვაში იტყვის რომ ქართველია, ან პირიქით, აქ იტყვი, რომ ლიტველი ხარ, საოცარი კეთილგანწყობით ხვდებიან. ეს ჩვენს შორის, ყველა დონეზე საოცრად ღია ურთიერთობებზე მიუთითებს. მხოლოდ 2015 წელზე რომ ვისაუბროთ, ლიტვის პრემიერ-მინისტრი იყო ჩამოხრძანებული. ორი დღის წინ კი, ირაკლი ლარიბაშვილი იმყოფებოდა ლიტვაში. ოფიციალური ვიზიტით საქართველოს სტუმრობდნენ ლიტვის საგარეო საქმეთა და ჯანდაცვის მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე... საქართველოს იუსტიციის და თავდაცვის მინისტრებიც იყვნენ ვილნიუსში. ჩემი სამთვიანი მუშაობის ფონზე, საკმაოდ ინტენსიური მაჩვენებელია ორმხრივი ურთიერთობებში. მგონია, ქვეყნებს შორის მანძილი, მჭიდრო ურთიერთობების გამო, „შემცირდა“.

— ევროკავშირის წევრი ქვეყნისგან, მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება. ამ მხრივ რა ვითარებაა?

— შარშან, ევროკავშირის წევრობის 10 წელი აღნიშნეთ. გამოცდილი, ჭკვიანი ადამიანები გვყავს, რომლებსაც შეუძლიათ ბევრი რამ ასწავლონ საქართველოს. მზად ვართ, დახმარების ხელი გავუწოდოთ ქართველებს. ჯადოქარი არ ვარ, გამოვიცნო, როდის იქნება შემდგომი გაფართოება, ამიტომ პრაგმატულ მიდგომას მივყვები. ჩემი რეცეპტია, თავდაუზოგავად იმუშაოთ, მაქსიმალურ მზადყოფნაში იყოთ და შესაბამის მომენტს დაელოდეთ, რომელიც აუცილებლად დადგება. ასე მოხდა ჩვენს შემთხვევაშიც. ეს არ არის არც იოლი და არც მოკლე გზა, მაგრამ მზამს, თუ მართლა გსურთ ამ დიდი ოჯახის წევრი გახდეთ, ეს აუცილებლად მოხდება. ნატოცა და ევროკავშირიც, ბრწყინვალე ინსტრუმენტს აძლევს წევრ სახელმწიფოებს თანამშრომლობისთვის, რომელიც რეალობის შეცვლის მანსია, მაგრამ... ნატო-სა და ევროკავშირისთვის კი არ უნდა გაატაროთ რეფორმები და განვითარდეთ, არამედ, საქართველოსთვის, თქვენითვის, თქვენი მომავლისთვის.

— ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირი და ნატო „ბოლო გაჩერება“ კი არა, უბრალოდ, გზაა?

— რა თქმა უნდა. ელჩებისა და კომპეტენტური პირების დახმარებით, საქართველოს მთავრობას შეუძლია, ეს მექანიზმები და „ნოუ-ჰაუ“ უფასოდ მიიღოს. არავინ იცის, როდის მოვა ეს დღე. არც ჩვენ ვიცით. სწორი არ იქნება, სხვა ქვეყნებს შევადაროთ, რადგან ინდივიდუალურია ყველა შემთხვევა.

— დღეს, საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, კითხვები უჩნდება. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს ევროკავშირისა და

ნატოსკენ მიმავალ გზაზე, მით უფრო, რომ ქართველმა ხალხმა, ამ გაერთიანებებში შესვლის სურვილი, რეფერენდუმით დააფიქსირა? — საქართველო ერთ-ერთი უდიდესი კონტრიბუტორია ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციებში ავღანეთსა და ცენტრალურ აფრიკაში. თქვენი ქვეყანა მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამბიციურ რეფორმებს ატარებს სამხედრო სფეროში. ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ მათი მისწრაფება უცვლელია ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ. ასე რომ, ხელჩადიებული მივდივართ ამ მიზნებისკენ. საქართველო ჩვენი მნიშვნელოვანი პარტნიორია და ჩვენში ექვებს არ აჩენს მისი საგარეო კურსი. ვიმედოვნებ, დეკემბრის ევროკომისიის მოხსენება ვიზა-ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, პოზიტიური იქნება. ნატო და ევროკავშირი სტაბილური, აყვავებული, დემოკრატიული და ეფექტურად მართული სტრუქტურებია.

— საქართველოში გაქვთ მსგავსი განცდა და აქ ცხოვრება თუ მოგწონთ?

— ერთი კოლეგა, არც ისე დიდი ხნის წინ, მეგობრებს, საქართველოში ვიზიტის შესახებ გვიამბობდა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ამ საუბრიდან მალევე, სწორედ აქ დავინიშნე ელჩად... პირველ დღეს ვიფიქრე, შეუძლებელია აქ ცოცხალი გადარჩე, მძლოლებს მანქანის მართვის ისეთი მანერა აქვთ-მეთქი. შოკი იყო, მაგრამ ამასაც ეჩვევი. ვფიქრობ, ეს სისტემა უნდა გადაიხადოს...

ჯერჯერობით, თქვენი ლეგენდარული სტუმართმოყვარეობით ვტკბები. ზოგჯერ, ვხუმრობ, რომ ისიც იუნესკოს სიაშია შესატანი. ხანდახან, ეს გამოწვევაც კია — კერძებისა და სასმლის სიუხვე მაქვს მხედველობაში. ძალიან გულგია და კეთილგანწყობილი ხალხი ხართ. ეს გეხმარებათ, ადვილად შეხვიდეთ კონტაქტში, გაცვალოთ ინფორმაცია. ლიტვა-საქართველოს შორის, სამთავრობო დონის გარდა, საოცარი კავშირები გვაქვს მუნიციპალიტეტებს შორისაც. ცოტა ხნის

წინ, ჩვენი ქვეყნების ყოფილ დედაქალაქებს, ტრაკაისა და მცხეთას შორის გაფორმდა დამშობლების დოკუმენტი. მჭიდრო კონტაქტებია ხალხებს შორისაც: გაცვლითი პროგრამებით, უამრავი სტუდენტი სწავლობს. ტექნიკურ უნივერსიტეტში ლიტვერ ენას ასწავლიან. მეც ვცდილობ ვისწავლო ქართული, რომელიც ძალიან ლამაზია, მაგრამ რთულიც. მომწონს საქართველო, ქართველები, თქვენი ისტორია... რამდენიმე შაბათ-კვირა მოგზაურობაში გავატარე. მოვინახულე მცხეთა, ზედაზენი, შიომღვიმე, ასევე, ვიყავი იყალთოს აკადემიაშიც, სადაც ლეგენდის თანახმად, შოთა რუსთაველი სწავლობდა. ძალიან შთაბეჭდილი ვიყავი, რომელსაც ყველაფერი აქვს, რაც წარმატებულ, ტურისტულ და დანიშნულების ადგილს სჭირდება — ზღვა, მთები, უძველესი ქალაქები, კულტურა და რა თქმა უნდა, ძალიან გემრიელი სამზარეულო. უამრავი ლიტველი ჩამოდის. არის პირდაპირი ფრენებიც ვილნიუსიდან ქუთაისამდე. იმედი მაქვს, ქართველი ტურისტების რიცხვიც გაიზარდება ლიტვაში. ჩვენც ბევრი კურორტით ვამაყობთ.

— რა არის თქვენი, როგორც ელჩის პრიორიტეტები?

— განვითარების თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში, სოციალური სექტორი, განათლება, ადმინისტრაციული შესაძლებლობები... ფონდები შეზღუდულია, მაგრამ შეძლებისდაგვარად, გეხმარებით.

— ქართულ კულტურას კარგად იცნობთ?

— გასაოცარი პოლიფონია გაქვთ. ასევე, ულამაზესი ტაძრები, რომლებიც მიანიშნებს, რომ თქვენ ერთ-ერთი პირველი ქრისტიანები ხართ. ლიტველებმა კი, ქრისტიანობა თქვენთან შედარებით, 10 საუკუნის დამოკლებით მივიღეთ. სუხიშვილებს დაუჯერებელი ენერჯია აქვთ, თითქოს, ძვლები არ აქვთ, ისეთ მოძრაობებს აკეთებენ. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ნინო ქათამაძემ. რთველშიც დამპატიყეს, შოთა გამო-მაცხოვრებეს, ჩურჩხელა ამომავლებინეს, ქვეყნის ტრადიციაც გამაცნეს... ბევრი რამ სანახავი მაქვს. გულწრფელად მიხარია, რომ საქართველოში ვარ!

პერსონაჟი

„ვაამაყობთ ჩვენი ჯარისკაცებით, რომლებიც ნატო-ს სამხედრო მოსამსახურეების გვერდით მსახურობენ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ვილნიუსში, ნატო-ს ენერჯეტიკული უსაფრთხოების ცენტრს ესტუმრა, ცენტრის საქმიანობას გაეცნო და ქართველ ოფიცრებს შეხვდა, რომლებიც ლიტვის თავდაცვის სამინისტროს აკადემიაში სწავლობენ. სამხედრო სასწავლებელში ინგლისური ენისა და საშტაბო-სამეთაურო კურსს 5 ქართველი სამხედრო მოსამსახურე გადის.

„ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ჯარისკაცებით, რომლებიც ნატო-ს სამხედრო მოსამსახურეების გვერდით მსახურობენ და განაგრძობენ საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. საქართველო ნატო-ს რიგით მეორე კონტრიბუტორია და ჩვენ გვყავს საამაყო ჯარისკაცები, რომლებიც თქვენს გვერდით დგანან. აგვისტოში საქართველოში იმყოფებოდა ნატო-ს გენერალური მდივანი, გავხსენით ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი და განვაგრძობთ ჩვენი შეიარაღებული ძალების რეფორმას. ჩემთვის დიდი პატივია ვილნიუსში ჩვენს ახალგაზრდა ჯარისკაცებთან შეხვედრა, რომლებიც ემსახურებიან საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ცენტრის საქმიანობის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ცენტრის დირექტორმა, პოლკოვნიკმა გინტარას ბაგდონასმა პრეზენტაცია წარუდგინა. მისი განმარტებით, ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანია ენერჯეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე სამეცნიერო, ტექნიკური და აკადემიური ექსპერტიზისა და ანალიზის წარმოება და ნატო-ს სტრატეგიული სარდლობის და ნატო-ს წევრი სახელმწიფოების კვალიფიციური რჩევებით უზრუნველყოფა. პოლკოვნიკმა პრემიერ-მინისტრს საქართველოს მიერ ცენტრის საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

ნატო-ს ენერჯეტიკული უსაფრთხოების ცენტრის წევრი სახელმწიფოები არიან ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, იტალია, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი და საქართველო. საქართველო ნატო-ს ენერჯეტიკული უსაფრთხოების ცენტრს 2014 წლის 16 ოქტომბერს შეუერთდა. ორგანიზაციაში საქართველო, სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის, „დელტას“ ექსპერტით არის წარმოდგენილი.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა ქართველ სამხედრო მოსამსახურეებსა და შტაბის წევრებთან სამახსოვრო ფოტო გადაიღო და საპატიო სტუმრების ნიგნში ჩანაწერი გააკეთა.



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი (მარჯვნივ) ენერჯეტიკული უსაფრთხოების ცენტრის დირექტორს, პოლკოვნიკს გინტარას ბაგდონასს (მარჯვნივ) და ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანია ენერჯეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე სამეცნიერო, ტექნიკური და აკადემიური ექსპერტიზისა და ანალიზის წარმოება და ნატო-ს სტრატეგიული სარდლობის და ნატო-ს წევრი სახელმწიფოების კვალიფიციური რჩევებით უზრუნველყოფა. პოლკოვნიკმა პრემიერ-მინისტრს საქართველოს მიერ ცენტრის საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

ქართველი კრიმინალის „ფრანგული გასტროლის“ შესახებ უკვე გავიხსენებთ. უინტერესო არ იქნება იმის გაგება, ზოგადად, რით სუნთქავენ და როგორ ცხოვრობენ ქართველი კრიმინალები ევროპაში; უფრო კონკრეტულად კი, როგორ ქურდობენ და როგორ იყენებენ თავდაცვის ისეთ მექანიზმებს, რომლებიც ევროპელებს თავში აზრად არასდროს მოუვიდოდათ, რომ არა ქართველთა კრეატიული გონება.

„ევროპაში ასე არ არის, მუშა-ხელს და შესაბამისად, თანხას ზოგავენ. იქ თავად მიდიხარ მაგალითად ხილის სექციაში, იღებ ხილს, ჩაყრი ცელოფანში, დადებ სასწორზე, უთითებ ფასს და მერე წონის და ფასის სტიკერს აკრავ ცელოფანს. მიდიხარ და იხდი პატროსნად, მაგრამ ამას ევროპელები აკეთებენ. ქართველები მივდიოდით, ავიღებდით მაგალითად ერთ კილო მსხალს, რომელიც ორი ევრო ღირდა, დავაკრავდით იმ სტიკერს, მერე მივდიოდით ისევ მსხლის სექციასთან და ერთ კილოს ვამატებდით. გამყიდველს სულ არ აინტერესებს, რამდენი დევს იქ, გაატარებს და ასე იხდი იაფს...“

„იქ ალკოჰოლურ სასმელსაც კი აქვს დამცავი, ანუ ისე ვერ გაიტან, თუ იმ დამცავს არ მოხსნის გამყიდველი, გასასვლელში აკივლდება. ჩვენ „კუსაჩკებით“ დავრბოდით, ვჭრიდით დამცავებს და ასე გამოგვქონდა. შემდეგ მაღაზიის მენეჯერს ვჩვენებდით უკეთესი რამ მოიფიქრეს, ფოლადის ნაცვლად საღებავის ამპულალები დამაბარეს. ამპულა ტყეფობდა, საღებავი ესხმებოდა საქონელს და აზრი არ ჰქონდა იმით მოპარვას. ერთი კვირის შემდეგ გაირკვა, რომ თეთრი მაგნიტი ამ დამცავს უპრობლემოდ ხსნიდა. ვმოულობდით ამ მაგნიტს და ამპულაზემაც აზრი დაკარგა...“

„ყველაზე ჯოჯოხეთური მაინც ფასდაკლების სეზონი იყო. მაგალითად, შეხვედი მაღაზიაში და დევს ზოგადად, რომელიც ღირს ფასდაკლებით 5 ევრო და ზოგადად, რომელიც ასევე ფასდაკლებით ღირს ასი ევრო. ხარისხში სხვაობა უზარმაზარია.“

ქართველების ქურდობის ბეთობები ევროპაში

ჩვენ ვხსნიდით ორივე დამცავს, ვანაცვლებდით და ასევერონიანი ზოგადად ხდებოდა ხუთეფრონიანი. პატროსნად ვიხდიდით ამ 5 ევროს და საუკეთესო ზოგადად გვეცვა. როცა პოლიციელები გვაჩერებდნენ, გიჟდებოდნენ, მინიმუმ ორასეფრონიანი ჯინსები გვეცვა, საუცხოო ზოგადად და ზუსტად იცოდნენ, რომ მოპარული იყო, მაგრამ ფაქტზე ვერ გიჭერდნენ და რა აზრი ჰქონდა ეჭვს?!”

„ერთი კახელი ბიჭი ჩამოვიდა, გადმოიპარა უსაბუთოდ. ქართულ ციხეზე ისეთ ამბებს ყვებოდა, პირდაღებულები ვუსმენდით ყველა. ერთ დღეს თქვა, გინდა თუ არა, პარიზში უნდა წავიდე, ეფელი უნდა ვნახო. არ გვეცალა და მარტო წავიდა. იქიდან გვირეკავს, დამიჭირესო. თურმე, ამ იდიოტს, შანს-ელიზეზე სიგარეტის ცარიელი კოლოფი მოუსვრია ბაღახეში და საფარაულოდ, ყველა იქ მყოფმა დარეკა პოლიციაში. პოლიციამ საბუთებით და დააკავეს. დემორტისთვის ამზადებდნენ, ის კიდევ თავს იკლავდა, საქართველოში დამბრუნებელი არ ვარ, იქ რომ ჩამსვან ციხეში, შეიძლება თავი მოვიკლაო. მოკლედ, ხან პოლიციელს დაარტყა, ხან ვენები გადაიჭრა... მაინც გამოადგებოდა. არავის დაუჭერია საქართველოში, ის კიდევ ისევე ყალბი საბუთებით ბელორუსში გადასულა და ახლა იქ ზის. ბელორუსს შანს-ელიზე არ აქვს, მაგრამ ალბათ ლუკაშენკოს პლაკატი ჩამოხია სადმე...“

„ჰო, იმას ვყვებოდი, ევროპაში საჩალიჩოდ ჩასულ ქართველებს სიტყვა ვიყიდოთ ლექსიკონში არ აქვთ. ძირითადად ვამბობთ, დავითრობთ. შვიდ ევროზე მეტი ღირს სიგარეტი, ქართველები კი, ხომ წარმოიდგენია, რამდენ სიგარეტს ვენევიტო. ეს იყო ერთადერთი, რასაც არ ვიპარავდით. ლუქსემბურგში გადავდიოდით სიგარეტის საყიდლად, იქ თითქმის ნახევარი ფასია. ჰოდა, იქიდან მომავალ მანქანებს მუდმივად აჩერებს პოლიცია, ჰგონიათ, რომ მოპარული საქონელი მოგაქვს, რადგან ლუქსემბურგში უფრო მარტივია მოპარვა, იქ მგონი, მთლიანად ქვეყანაში რვა თუ ათი პოლიციელი მუშაობს. ჩვენც ამაყად დავუღაგებდით სიგარეტებს და ქვითრებს, რომ ვიყიდეთ. უკვირდით, მაგრამ რა უნდა ექნათ, გვიშვებდნენ...“



„ვისაც ჭკუა აქვს, მოპარული ფულით მანქანებს ყიდულობს, ბელგიაში მიჰყავს და საქართველოში აგზავნის. ბელგიაში იმიტომ, რომ იქიდან მანქანის გამოგზავნა 550 დოლარი ჯდება. საქართველოში კი დახვდებოდა ვინმე და ოჯახს ფული ჰქონდა. ექვსი მანქანის გამოგზავნა ვინცნარი ხანამ დამიჭირეს და ორ წელიწადში ექვსი მანქანა არ არის ცოტა. ვილაკები ლეპტოპებს აგზავნიდნენ და მთელი ამბები იყო მაგაზე. აბა, წარმოიდგინე, ერთ რეისზე რომ ორმოცდაათი ლეპტოპი მოდის, როგორი საქმეა? იქ ლეპტოპების მოპარვა ძალიან ადვილია, თითქმის ყველა მაგიდაზე ტოვებს უყურადღებოდ, გადიან, გამოდიან, 10-15 წუთი საერთოდ არ ახსოვთ ლეპტოპი, მაგრამ შარია, რა...“

„ტანსაცმელს ჩვენგან, ძირითადად, მონღოლები, სომხები და დაღესტნელები ყიდულობდნენ. ოც კილო ტანსაცმელში ოთხას ევროს იხდიდნენ. ოღონდ, ტანსაცმელში ჯინსი და ფეხსაცმელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ერთიც და მეორეც მძიმეა. ოც კილოზე სამ დღეში ავდიოდი, რა თქმა უნდა, თუ არ ვიზარმაცებდი. ხანდახან ისე იყო, სუფთა ფრანგული მაისურები თუ კაბები, ოცი კილო რომ გამოსულიყო, ორასი ცალი მჭირდებოდა. ჰოდა, იმ ქალებს თითო ნივთი ორ ევროდ რჩებოდათ, აგზავნიდნენ თავიანთ ქვეყნებში და თავად წარმოიდგინე აბა, ორ ევროდ რომ მაისური გაქვს ნაყიდი, სუფთა ფრანგული, რამდენად გაყიდი? მინიმუმ სამმაგს იღებდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც კმაყოფილები ვიყავით. შანსი არაა, გადაწყვიდელმა ჩაგიშვას ან პოლიცია დაგაყენოს, „გაბაზრდება“ ეგ ამბავი და არავინ არაფერს მიუტანს...“

„უდიდესი შემოსავალი „წამლის“ და პლანის გაყიდვიდან შემოდის, მაგრამ ეგ სფერო მთლიანად ზანგებს აქვთ ალბათ. თან, ქართველები ამას იმიტომ ვერიდებოდნენ, რომ ერთი გაკეთების გულისთვის შეიძლება ყელი გამოგჭრან და შარია. პლანს ვყიდულობდით და საღამომოთ ვენეოდით, განტვირთვისთვის კარგი იყო. გაგიკვირდება და წამლის ბარიგა არასდროს გაყიდის პლანს ან წამალს ნივთზე. ოქროს სამკაული რომ მიუტანო, ათასი ევრო რომ ღირდეს, ურჩევნია ასი ევრო მისცე ნაღდ ფულად. ისე, ოქროზე არ გიჟდებიან ფრანგები, ამიტომ იშვიათად თუ ჩალოვებს ვინმე...“

„ისე, თავიდან რომ ჩავედით, ყოველ კილომეტრზე გვაჩერებდა პოლიცია. ვერ მივხვდით, რატომ და მერე ერთმა არაბმა გვითხრა, მანქანით არასწორად დადიხართო. გამიკვირდა, საქვითან მე ვიჯექი და წესებს მუდმივად ვიცავდი, შანსი არ იყო დამერღვია და ვუთხარი კიდევ. იმას კი გაეცინა, გარეთ გავიდეთო და ტროტუარზე დამაყენა. გაივლიდა მანქანა და მეტყვიდა, აი, ესენი ფრანგები არ არიან, ჩამოსულები არიანო. რა იცი მეთქი და... ფრანგები ისე აძველებენ მანქანას, უკან თითქმის არავის სვამენ. თუ უკვირდები, ან ერთი ზის მანქანაში, ან ორი, სამი კაცი თითქმის გამორიცხულიაო. დავაკვირდი და მართლაც, ფრანგები ორზე მეტი პრაქტიკულად არ სხედებიან მანქანაში, ასევე ერთი შემთხვევა შეიძლება იყოს. ჩვენ კიდევ ჩავიტენებოდით შვიდი კაცი და გვაჩერებდნენ. მეორე დღეს ორი ჩავსხედით და მთელი დღე ისე ვიარეთ, ზედაც არავის შემოუხედავს. მივხვდით, მეორე მანქანა იყო საჭირო და ვიყიდეთ კიდევ...“

„დემორტი მაქვს ჩარტყმული პასპორტში, მაგრამ მაინც მინდა წავსვლა. ახალი წლის შემდეგ უნდა წავიდე „ჩერებ“ ბელორუსში, თორემ მეექვსე თვეა აქ ვარ და ლაფთაქაზე სამუშაოც კი მენატრება. მინდა ფიზიკურად მუშაობა და არ არის. აქეთ მშობლები, იქეთ ცოლ-შვილი... საშინელებაა, პურის ფული რომ არ გაქვს. ტაქსაობა ვცადე, არც ეგ გამოვიდა. სულ მგონია, რომ როგორც იქ ვადებდით ტაქსებს, აქაც ასე იქნება-მეთქი და დაძაბული ვზივარ. ციხეში დისკების შეფუთვა კი ვისწავლე, მაგრამ არა მგონია, რომელიმე ქართველმა მომწოდებლმა იმდენი დისკი გამოუშვას, შეფუთვა დასჭირდეს. მოკლედ, ახალ წელს ველოდები და... ფრანგულიც მაინც ველოდები, დროზე თუ არ ჩავედი იქ, ამდენი წვალევა წყალში ჩამყვრება...“

პერსიანიუსი შსს-მ ე.წ. შავი მინის უკანონოდ მოპოვების ფაქტები გამოავლინა



შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს და ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით, 18 პირი: 1987 წელს დაბადებული ანდრო კ, 1980 წელს დაბადებული თეიმურაზ კ, 1992 წელს დაბადებული ვახტანგ ქ, 1980 წელს დაბადებული ანდრო კ, 1992 წელს დაბადებული ტარიელ გ, 1980 წელს დაბადებული ზურაბ ქ, 1975 წელს დაბადებული მამუკა ჩ, 1976 წელს დაბადებული გიორგი ჩ, 1984 წელს დაბადებული ირაკლი მ, 1979 წელს დაბადებული ბესარიონ ბ, 1990 წელს დაბადებული დავით ბ, 1976 წელს დაბადებული გიორგი ხ, 1993 წელს დაბადებული ბაჩუკი ხ, 1980 წელს დაბადებული გიორგი ხ, 1991 წელს დაბადებული თენგიზ ქ, 1985 წელს დაბადებული გიორგი ქ, 1980 წელს დაბადებული ზურაბ ნ. და 1983 წელს დაბადებული თეიმურაზ ნ. დააკავეს, ხოლო 4 პირი: 1985 წელს დაბადებული შმაგი კ, 1988 წ.დ. მალხაზ კ, 1987 წელს დაბადებული ზაურ ყ, და 1969 წელს დაბადებული ვალერიანე თ. ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა სხვადასხვა დროს, ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფელ ანყურში ხაშური-ახალციხის სარკინიგზო ლიანდაგის მე-60-ე კილომეტრზე და ბორჯომში, მესხეთის ქუჩის მიმდებარე გამავალი სარკინიგზო მაგისტრალის ვაკისიდან სილიკომანგანუმის თანმდევი ნიღა — ე.წ. შავი მინა უკანონოდ მოიპოვეს, რითაც რკინიგზის ვაკისი დაზიანეს. სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ მიყენებულმა მატერიალურმა ზიანმა 10 960 ლარი და 19 თეთრი შეადგინა. სამართალდამცველებმა უკანონოდ მოპოვებული „შავი მინა“ და ასევე დანაშაულის ჩადენის ხელსაწყო-ინსტრუმენტები შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებულად ამოიღეს.

გამოძიებამ მიმდინარეობს სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

ჯოკია ბოლოკიას 11-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

თბილისის მერიის ყოფილი მაღალჩინოსანი ჯოკია ბოლოკია თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

მოსამართლემ ჯოკია ბოლოკიას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე სამართალდამცველებმა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსი ჯოკია ბოლოკია 11 თებერვალს დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების თანახმად, ჯოკია ბოლოკიამ ერთ-ერთი კერძო კომპანიის წარმომადგენელს, სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემაში დახმარებისა და მშენებლობის პროცესში მფარველობის განეხილათ, ქრთამის სახით, სასტუმროს მშენებლობის ღირებულების 10% – 180 000 აშშ დოლარი მოსთხოვა, საიდანაც წინასწარ, ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 50 000 აშშ დოლარი აიღო. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების 11-დან 15 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

„ვერსიანიუსი“



9 წლის მოზარდს თანაბრად იარაღით თამაშისას სასიკვდილო ჭრილობები მიყენა

უბედური შემთხვევა მოხდა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში. ადგილობრივების ინფორმაციით, შემთხვევა იმ დროს მოხდა, როცა თანაკლასელები იარაღით თამაშობდნენ.

ჩალაუბანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულ ელგუჯა იმერლიშვილის განმარტებით, მოზარდის თანატოლს იარაღი შემთხვევით გაუვარდა და თანაკლასელს ჭრილობა მუცლის არეში მიყენდა.

მისივე თქმით, ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცავებმა მომხდარ ფაქტზე მოკვლევა უკვე დაიწყეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

„ვერსიანიუსი“

სანაგვედქვეული მიწისქვეშა გადასასვლელი თბილისის სანაგვედ ქვეული

ნათია დაუშვილი
5-99-85-09-43

2015 წელს თბილისის მერიამ მიწისქვეშა გადასასვლელის მოსაწესრიგებლად ბიუჯეტიდან შეიძინა ათას ლარზე მეტი გამოყო. პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა კიბეები, დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები. შპს „უძრავი ქონება-თბილისი“ კი, 25 მიწისქვეშა გადასასვლელის გარემონტება დაევალა, მათ შორის თბილისის გარეუბნებშიც. ამ სასიამოვნო ინფორმაციის მიუხედავად, დედაქალაქის მიწისქვეშა გადასასვლელში, სახარბიელო ვითარება ნამდვილად არაა. მეტიც, რამდენიმე უფუნქციოდან დაარჩენილი და სანაგვედა ქვეული.



მოსახლეობა ბარათაშვილის ხიდთან და კოსტავას ქუჩაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში შექმნილ მდგომარეობას აპროტესტებს. აღშფოთებას არც „ვერსიასთან“ მალავენ, თუმცა ანონიმურად დარჩენას ამჯობინებენ. ბარათაშვილის ხიდთან გამვლელი, ძირითადად, იმაზე ნუხან, რომ მიწისქვეშა გადასასვლელში მიღებიდან წყალი ნვეთავს, რაც მათ პრობლემას უქმნის. არ არის ელექტროენერჯია, ამის გამო საღამოს საათებში შეუძლებელია მიწისქვეშა გადასასვლელით სარგებლობა. აღნიშნულ ტერიტორიასთან ჩავლისასაც კი უსიამოვნო სუნი აწუხებთ.

გაცილებით რთული ვითარებაა კოსტავას ქუჩაზე. თბილისის ცენტრში მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ანტიანტიტარიული მდგომარეობაა. კოსტავას ქუჩის მაცხოვრებლების თქმით, ეს გადასასვლელი წლებია აღარ ფუნქციონირებს. დროთა განმავლობაში იმინდება, თუმცა მალევე იტბორება. მოსახლეობას მერიისთვის არ მიუმართავს, რადგან ფიქრობენ, რომ წარმანია უწყება პრობლემის მოსაგვარებლად ვერაფერს შეძლებს: „ესენი ახალ გადასასვლელს აშენებენ, მაშინ როცა ძველი მისახედა. ადრე აქაურობას ასუფთავებდნენ, დღეს კი, აღარავინ აქცევს ყურადღებას. მიწისქვეშა გადასასვლელი ერთ დიდ სანაგვედა ქვეული. ბავშვები იძულებულნი არიან გზაზე გადავიდნენ, არადა აქ ყოველთვის საშინელი მოძრაობაა და ვნერვიულობთ, რაიმე უბედურება არ მოხდეს“.

კოსტავას ქუჩის შესახვევში მდებარე მალაზიის გამყიდველი გვეუბნება, რომ წლებია ამ ქუჩაზე მუშაობს თუმცა გადასასვლელით სარგებლობა მხოლოდ რამდენჯერმე მოახერხა, რადგან ძირითადად წყლითაა სავსე.

შესაბამისი ორგანოები, მუდმივად აპელირებენ იმით, რომ ქალაქში საცობებია, გადაადგილება შეუძლებელია და ქვეითად მოსიარულეებს, მუდმივად მოუწოდებენ, ისეთად გადატვირთულ მოძრაობისას, მძღოლებს პრობლემები არ შეუქმნან და მიწისქვეშა გადასასვლელით ისარგებლონ.



ამ ფონზე, საინტერესოა, რატომ არ ქმნიან შესაბამისი ორგანოები მიწისქვეშა გადასასვლელში ისეთ პრობლემებს, რომ ხალხმა სარგებლობა შეძლოს? ვინაა პასუხისმგებელი აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე? ამის გასარკვევად „ვერსია“ მერიის პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც გვითხრეს, რომ მიწისქვეშა გადასასვლელის მოწესრიგება შპს „უძრავი ქონება-თბილისი“ ევალება. „ვერსია“ „უძრავი ქონება-თბილისის“ წარმომადგენელს, ელზა ბეგოიძესაც დაუკავშირდა, რომელმაც განგვიმარტა, რომ ბარათაშვილის ხიდთან მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი რთულად მოსაწესრიგებელია, რადგან მასში წყალი ნვეთავს. როგორც შევიტყვეთ, კომპანია ამ ოფიციალური წერილი უკვე გაუგზავნა „ჯორჯიან უოთერენდ ფაუნდ“ და დაზიანებული მიწისქვეშა გადასასვლელის შეკეთება მოსთხოვა. ელზა ბეგოიძის განმარტებით, უახლოეს მომავალში წერილის ადრესატი კომპანია პრობლემას მოაგვარებს, რის შემდეგაც „უძრავი ქონება-თბილისი“ მიწისქვეშა გადასასვლელი მოწესრიგდება.

რაც შეეხება კოსტავას ქუჩაზე არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელს, ბეგოიძის განმარტებით, ეს გადასასვლელი დროებით აღარ ფუნქციონირებს, რადგან მასში გრუნტის წყალი ჩაედინება. პრობლემა 2016 წელს მოგვარდება, როცა ბიუჯეტიდან გადასასვლელის რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხა გამოიყოფა.

კოსტავას ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი, ნაგვითაა სავსე. გავლისას გადასასვლელში ჩაუსვლელადაც მოგჭრით თვალს ჩაყრილი პოლიეთილენის ბოთლები, ცელოფანის პარკები და სხვა ნარჩენები. იმის გასარკვევად, როდის გაინმინდება გადასასვლელი ნაგვისგან, თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს დაუკავშირდით. საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ლაშა ჩხიკვიშვილმა განგვიმარტა, რომ აღნიშნული პრობლემის შესახებ საქმის კურსში არიან და მიწისქვეშა გადასასვლელს უწყება მაშინვე დაასუფთავებს, როგორც კი გრუნტის წყლის ამოტუმბვა დასრულდება.

მოკლედ, კოსტავას ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი



დასასვლელის რეაბილიტაცია 2016 წლამდე არ მოხდება. ამ ტერიტორიაზე, მოსახლეობას, ისევე ცენტრალურ გზაზე გადასვლა მოუწევთ. იმედია, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, გადასასვლელის გრუნტის წყლისგან და ნარჩენებისგან განმწმუნდა მაინც მოხედა, მითუმეტეს, აქ დიდი ხანია ანტიანტიტარია მძვინვარებს. გაზაფხულ-ზაფხულზე კი, კოსტავას ქუჩის მიწისქვეშა გადასასვლელი, თბილისელებისთვის დამატებით საფრთხედ — ინფექციების გავრცელების წყაროდ შეიძლება იქცეს.

კატასტროფა

ავსტრიაში უკრაინელი ტურისტები ავტობუსის დაზარალებულ მოსახლეობაში

„მგზავრები სიკვდილისგან ხაფებმა იხსნა“

ლევან ხვადელიძე
„ვერსიისთვის“ ავსტრიაში

უიღბლო ავტობუსი ჯოჯოხეთური სისწრაფით და ქაოსი ავსტრიის ქალაქ ვენის შემოგარენში ავტობუსზე. საშინელი ავტობუსის დაზარალება მიცვალებულთა მოხსენიების დღეს, 2 ნოემბერს, გამთენიისას, 4:40 საათზე მოხდა. უკრაინულმა სამგზავრო ავტობუსმა ავტობუსის მოაჯირი გაარღვია. ტრანსპორტში მყოფი 16 მგზავრიდან 11 მსუბუქად, 2 მძიმედ დაშავდა, 3 კი, უზნებელი გადარჩა. გამოძიების ვარაუდით, მძღოლი ან გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, ან ჩაეძინა.

შემთხვევა ვენის მახლობლად, ავტობუსი S1-დან A4-ის ასასვლელზე მოხდა, სადაც 290-გრადუსიანი მოსახვევია. გამოძიებამ დაადგინა, რომ უკრაინელი ტურისტული ავტობუსის მძღოლი გადაჭარბებული სიჩქარით (80 კმ/სთ) მოძრაობდა მაშინ, როცა ამ მონაკვეთზე, მძიმე და პატარა ტრანსპორტისთვის მაქსიმალური 40 კმ/სთ სიჩქარეა დაშვებული. მძღოლმა ვერ განსაზღვრა ვინრო, მკვეთრი მოსახვევის საშორებობა. ჯერ გაურკვეველია, 54 წლის მძღოლი განზრახ მოძრაობდა ასე სწრაფად თუ საჭესთან ჩაეძინა და სისწრაფე ვერ გააკონტროლა. ავტობუსმა გაარღვია ერთი მოაჯირი, შემდეგ ორჯერ ამოტრიალდა და ბოლოს, მინდორზე გაჩერდა. მძღოლს ამ დღეებში დაკითხვებზე თარჯიმანთან ერთად. ორი მგზავრი მძიმედ დაშავდა. 50 წლის უკრაინის მოქალაქე ქალბატონს კისრის არეში რამდენიმე მოტეხილობა და ფილტვების დაზიანება აღენიშნება. იგი ვენის საავადმყოფოშია მოთავსებული და შესაბამისი მკურნალობა უტარდება. უკრაინის მეორე მოქალაქე, ვენის ერთ-ერთ უტინიკაში გულმკერდის არეში დაზიანებით მოთავსეს. დანარჩენი 9 დაშავებული ავსტრიის სხვადასხვა საავადმყოფოში გადაინაწილეს. ავადმყოფების შესახებ ინფორმაცია მედიას ქალაქ შევხატის წითელი ჯვრის თანამშრომელმა დანიელა ანგეტემ მიანიშნა და აღნიშნა, რომ დაშავებულთა კომუნიკაცია, ვენის ბაროიერის გამო, ძალიან ჭირს.

ავტობუსის მძღოლს შემდეგ დაკარგული იყო ერთი მგზავრი. თავიდან ეგონათ, რომ იგი ტრანსპორტის ქვეშ მოყვა. ამნეთი ანეის ავტობუსი, მაგრამ მამაკაცი მაინც ვერ იპოვეს.

Opfer im Spital!



Schutzengel an Bord: Der Reisebus mit den Ikonen hinter der Windschutzscheibe überschlug sich – drei Insassen überstanden den Horror-Unfall unverletzt.



მოგვიანებით, სამაშველო სამსახურმა ტურისტის ძებნა ვერტმფრენებით გააგრძელა. საბოლოოდ, უკრაინის მოქალაქე ავტობუსი A4-ზე შოკურ მდგომარეობაში იპოვეს. 3 მგზავრი საერთოდ არ დაშავებულა.

S1 და S4 ავტობუსი მთლიანად იყო პარალიზებული და უზარმაზარი საცობი შეიქმნა.

მსგავსი ავარია, ამავე ადგილას, 2008 წელსაც მოხდა. მაშინ, ავტობუსის 20 მგზავრი დაშავდა.

ავსტრიული მედია წერს: „მძღოლს ხატები ჰქონდა საქარე მინაზე და სამი მგზავრი სრულიად უზნებელი გადარჩა. სასწაულია — ავტობუსმა 2 ბრუნი გააკეთა, ხატებმა კი მგზავრები სიკვდილისგან დაიფარეს“.

1. ცეცხლის ასანთები პატარა ჩხირი	2. ძვლის მკვდარი ნაწილი, მოცილებული ვენახის ნაწილი	3. ძველი რომის იმპერატორი	4. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური	5. ჩიპოლინოს ლიტერატურული „მამა“	6. თაფლიანი ფიჭა
7. ჩქარ-ტემპიანი მუსიკალური ნაწარმოები	8. მარკ ტვენის ტომ ...	9. ზრდილობიანი მიმართვა უფროსისადმი იაპონიაში	10. სურათების გალერეა მილანში	11. ძვირფას-ბეჭედიანი ცხოველი	12. რკ. შინდლანაშვილი
15. პარკოსანი მცენარე		16. კეპლისა და მჭვარტლისაგან წარმოქმნილი შავი ნივთილი დიდ ქალაქებში	17. მონღოლი დიდებული	19. მრული ხაზის ნაწილი	20. სოფელი ირანის რაიონში
22. ვაზების მწკრივი ვენახში		23. საქონლის გატანა საზღვარგარეთ	27. პოლონეთის ვარსკვლავი	28. მესამის სარკვე მცხოვრები მამაკაცი	24. აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი
25. სპორტული შეჯიბრების მსაჯე		26. ეკლიანი ბალახი	30. ლეგენდარული რუსი მკვარე - იაშინი	31. სატელეფონო „სიტყვა“	32. საცალფეხი გზა
29. ჯეკ ლონდონის „მარტინ ...“		33. მეფის გამოსაყვანი ხელსაწყო	34. პირიქების ორგანიზაციის გარეგნული სახე	35. ყაზახეთის დედაქალაქი	36. მდინარე საქართველოში, მტკვრის შენაკადი
42. გერმანიის სამრეწველო რეგიონი	43. სამ-გლოვიარო ფერი	37. მშენებელი ელენეს ქმარი	38. იტალიელი ტენორი ბენიამინო ...	39. მდინარე ციმბირში	40. ღვთის ნების გამოშვებული არსება
47. არქიმედეს წამობილი		48. ნელი ლირიული (კეპა ბალეტში)	49. ლოცვის დასკვნითი სიტყვა	50. ადოლფ ადამის ცნობილი ბალეტი	44. თმის მკვარეული საღებავი
52. ისრის წვერი	53. ზევის მუღულე	54. კანადის დედაქალაქი	55. ხმელეთის ერთ-ერთი ზოოგეოგრაფიკული დანაყოფი	56. ქართული სალხური ზღაპარი	57. მარცვლ. ფეხლად გადასამუშავებული სწორი
58. ბრიტანელი კომიკოსი - უიზდომი		59. ნიგერის დედაქალაქი	60. დეკორატიული ბალახით დაფარული ფარი	61. თეატრალური წარმოდგენა	62. ფრანგ. ყველის მარკა
63. ძალ-ღონე, არაქათი		64. დამუშავებული ალმასი	65. იაპონელთა ეროვნული სამოსი	66. ფრანგი ფერმწერი	67. გადამჭრული მორბენალი ფრინველი
68. მუხის ნაყოფი		69. კერ-მანელი კოსმეტიკური ფირმა	70. ინდოელი კინოვარსკვლავი აიშვარია ...	71. მიწ-ობილი ბეჭედი სივნილისათვის	72. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
73. სომხური გვარების წინსართი		74. მსახიობი - გიბსონი	75. ზეინ-დელი დღის მომდევნო დღეს ანუ	76. მეტელთა უნიფორმა	77. მდინარე იაკუტიაში
78. ბალახის ჩრდილი		79. რკინის პატარა ნიჩაბი ცომის ასაფხვად	80. სოფელი სილნალის რაიონში	81. პერუს დედაქალაქი	82. საღვადორ დალის მუღულე
83. ცნობილი ესპანელი გიტარისტი		84. სურდა ფული შევიკაში	85. რასტა-ფარიანული ღმერთი	86. ბულგარული მარკა „...“	87. სამი წერტილი კამათულზე
88. მთელი ეკიპის მუშაობა გემზე					



„ციფრული ჰოსპიტალი“ გახსნეს



კანადურ საავადმყოფოში ექიმები პირველად შეუდგებიან მუშაობას დამხმარე რობოტებთან ერთად. ტორონტოში მდებარე კლინიკაში Humber River რობოტებს შეუძლიათ სხვადასხვა ბრძანების შესრულება — პაციენტებისთვის საჭმლის მიტანა და ნამლის დარიგებაც. ამ მექანიკურ „თანამშრომლებს“ ანდეს მუშაობა ონკოლოგიურ განყოფილებაში, სადაც განსაკუთრებით ტოქსიკური პრეპარატები გამოიყენება ქიმიოთერაპიისთვის. მათ გადატანას რობოტები მოახდენენ, რომელთაც შემთხვევით არ დაუცვივდებათ ხელიდან ნამლები. გარდა ამისა, ამა თუ იმ პაციენტისთვის საჭირო პრეპარატების დოზასაც რკინის „მედდები“ გააკონტროლებენ ექიმების დანიშნულების მიხედვით. კლინიკაში ჭკვიან მანქანებს ადგილი რენტგენ-კამინეტებშიც გამოუძენეს, სადაც თავად გადაადგილდებიან პაციენტის გარშემო და საჭირო ადგილების სკანირებას ახდენენ. ამ დანერგვას პირველ „ციფრულ საავადმყოფოს“ უწოდებენ ჩრდილოეთ ამერიკაში. აქ ყოველი პალატა პერსონალური პლანშეტებით არის აღჭურვილი, რომელთა მეშვეობითაც პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ, თვალი მიადევნონ ავადმყოფობის ისტორიას, არეგულირონ ტემპერატურა პალატაში, დარეკონ, ვიდეოს უყურონ ან ნიგნები წაიკითხოთ. ამ საავადმყოფო კომპლექსის კეთილმოწყობა 2011 წელს დაიწყო და 1,7 მილიარდი დოლარი დაჯდა.

ვერსია
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
 UDC(უპაკ)070.48:32(479.22)3-387

დაგეგმვის და მითითებული მითითებული
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
 პასუხისმგებელი მითითებული: ნინო ლურსმანაშვილი
 მითითებული: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
 მარიკა ლომიძე.
 სტილისტი – ნინო ებანოძე
 დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
 ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699
 9 771987 1869003

დაცულია საავტორო უფლებები.
 რედაქციაში შემოსული
 მასალები უკან არ ბრუნდება.
 სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
 და ინფორმაციის სიზუსტეზე
 პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
 შემთხვევაში დაგვიკავშირდით
 14 დღის განმავლობაში.